საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

ოთხშაბათი 1 იანვარი 1919 წ.

ერთობა

ფასი 50 კაპ.

№ 1 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 1

F 293/ № 521

ეროვნული ბიბლიოთეკა

ГОСУДАРСТВЕННАЯ ПУБЛИЧНАЯ БИБЛИОТЕКА ИМЕНИ М. Е. САЛТЫКОВА-ЩЕДРИНА

პროლეტარეგო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

გამოდის დღეში: 1 ფაფი 12 მანეთი ცალკე ნომერი ეღირება 5ს კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტროქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება ფასდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ სტატიათა მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერილობაში ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნოთ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 სათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 14

ტელეფონი 16—62.

ახლად გარდაცვალებულ

ვენე ნიკურაძის (აღათიოვილის)

მშობლები, და-ძმანი, რძლები და პატარა ძმის წულები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ვენეს გასვენება მოხდება 2 იანვარს ს. კულაში, საპტრედიის რკინის-გზის ლიანდაგის მახლობლად.

(2—2)

ღრმათ დამწუხრებულნი დედ მამა ონისიმე და სელო, ძმები—ბაკაი და კიტა, დები—ვასასი, ანიჩკა და ვარო, სიძენი გიორგი ჩხეიძე და ნოე ნუცუბიძე, გულ-დაწყვეტილნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 24 დეკემბერს დილეთ ხაჩინთან ბრძოლის დროს მოკლულ იქნა შვილი საყვარელი, სახალხო გვარდიელი

ფილიპე ონისიმეს ძე რამიშვილი

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 2 იანვარს თფ. რკინის გზის ლიბარეთიდან. დასაფლავება ხაშურ სასაფლაოზე.

ხაშურის ორგანიზაცია სოც.-დემ. მუშ. პარტიისა ღრმათ დამწუხრებული აუწყნებს ამხანაგებს, რომ 26 დეკემბერს სომხეთთან შეტაკების დროს შულავერთან გმირულათ დაიღუპნენ პარტიული კოლეკტივის წევრები

ლეონტი მეტრეველი და ალექსანდრე სირაძე

(2—2)

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: თეიმურაზ ალმასხანის ძე და მგელანია ვახტანგის ასული; ძმები: დავით და კონსტანტინე, დები პასტი ჯაველასა და ბირმბარე ასათიანისა, რძალი ბაბულია ფარნაოზის ასული და სიძე კონსტანტინე პავლეს ძე ასათიანი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სანანინოთ ვურაგ მტერთან ბრძოლის დროს 9 დეკემბერს მოკლულ იქნა კავკასიის პირველ ცეკნოსანთა ასეულის კორნეტი

ლუკა თეიმურაზის ძე აგულაძე

რომლის გამოსასვენებლადაც მიღებულია ზომები, და ქ. ჭალთურაში მოკლე ავათმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა

მარო (ნარო) თეიმურაზის ასული აგულაძისა

რომლის ჭალთურიდან წასვენება გურიაში მოხდება ბარასკევს, 27 დეკემბერს (ახალი სტილით) დასაფლავება ხუთშაბათს 31 დეკემბერს. (2—2)

ულრმეს მწუხარებაში მყოფი, გულმოკლული ივანე ანტონის ძე ზოდელავა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროოთ გარდაიცვალა მისი საყვარელი მეუღლე

ვერა (ვარუშა) ზაქარიას ასული ზოდელავა

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე, ტრამვაის ქუჩა № 5. გამოსვენება ხუთშაბათს, 2 იანვარს, დილის 10 ს. დიდუბის ეკლესიაში. დაკრძალვა იმავე დღეს იქვე. (2—1)

ხაშურის ქალაქის თვითმართველობა ღრმა მწუხარებით გამოსთქვამს საბჭოს ხმოსნების

ლეონტი მეტრეველის და ალექსანდრე სირაძის

უდროოთ დაკარგვის გამო, რომელიც მოხდა 26 დეკემბერს სომხეთთან შეტაკების დროს. (2—2)

ღრმად დამწუხრებული შვილები: ლიუბა ღლონტი-კირტაძისა, ვასო გრიგოლის ძე ღლონტი და მარო ებრალიძისა, სიძეები: ლეკა ებრალიძე და ვანო კირკიტაძე, რძალი სონია ღლონტისა, შვილიშვილები: რუსუდან, ლიზა, გოგი და ეგეგენია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ რკინის გზის საავათმყოფოში გარდაიცვალა

ნინა ანდრიას ასული ღლონტისა

საავათმყოფოდან მიცვალებულს გადმოიყვანენენ საშაბათს 31 დეკემბერს, სამ საათ. სახლში (ჩრეპიჩნი ქუჩა № 1). გამოსვენება ხუთშაბათს, 2 იანვარს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დღის ათ საათზედ. დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—2)

მოწოდება

საქართველოს შვილნო! დაეხმარეთ იმათ, ვინც დაუზოგავთ სწირავს ხამშიოლოს ჯანსა და ნორჩ სიცოცხლეს! ქვეყნის საკეთილდღეოთ გამოიღეთ თქვენი წვლილი, გადასდვეთ თქვენი თვიური შემოსავლის ნაწილი! ყოველ ქამს გახსოვდეთ რომ თქვენი მშვიდობიანი არსებობის ფასი ამ ადამიანთ სისხლს ღვრიან ჩვენი მამაცი მეომრები შეუშსუბუქეთ მათ უფროსი ტვირთი. ფულის შესრულება თქვენის თანაგრძნობით! დაიმზადეთ საქართველოს მეომართა დამხმარე

კომიტეტისათვის

შემოწირულება ფულად და უოველგვარი ნივთით

(საპონი, წუმწუმა, პაპიროსის ქაღალდი, თამბაქო, ძაფი, ხეზა და სხვა სასმელი, ხელი ბილი და ს.ხ.)

შემოწირულება მიიღება საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტში

გოლოვინის და ჭავჭავაძის ქუჩის კუთხე, № 24.

კომიტეტის თავჯდომარე ნ. გაბაშვილი.

გასული წელი

ადის წელიწადი და არ იცი ქვეით მოახსენო, თუ წყევლა-კრულვით გააცილო ცივ ამარეზედ. ომი და სისხლი, თაობები და ნემსები, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ბრალეულობები და წესიერების აღდგენა, შინაური ომი და საერთო აღფრთოვანება, დანგრეული ცხოვრება და დაწყობის მკვიდრ ნიშნები;

მსოფლიო ტალღების შედგარი ცემა და უსაზღვრო ზღვაში ამაყი ცურვა—უდიდესი განსაცდელი და სასწაულებრივი გადარჩენა, გამოფვალი მდგომარეობა და ბრწყინვალე გამარჯვება—ყველა ეს შერეული ოსდევს ერთი მეორეს, სცვლის, ქანაობს და აქანავებს მთელს ჩვენს ცხოვრებას.

აი ასეთი იყო წარსული წელი: ტირიფლისა და სიციილის, გოდების და მხიარულების, ტანჯვის და იმედის. და იბადება საკითხი: ვა ქოთ თუ ვადიდოთ?

ბევრი ტანჯვის ცეცხლში გასწურა ამ წელმა, ბევრს კი სიხარულის სიამე მოჰფინა.

ამიტომ მას ბევრნი მისტირიან, ბევრნი იმედის ლიმილით ეგებებიან.

ვინ არის მართალი?

ჩვენ ვამბობთ, მართალი არიან იმედიანნი სიხარულით მომავლის შემყურენი...

რა იყო წარსული წელი?

ეს იყო წელიწადი ქვეყნის უმაგალითო ბრუნვის, დიდ სახელმწიფოთა დაცემის, დიდი არეულ-დარეულის, მაგრამ ამ არეულ-დარეულში გამოიჭედა ახალი, პატარა დემოკრატიული სახელმწიფო სოციალისტური მთავრობით სათავეში, რომელსაც მტკიცეთ უჭირავს ხელთ საქე—ქვეყნის მართვა-გამგეობისა და არაჩვეულებრივი ენერგიით ეწევა ამშენებლობით მუშაობას.

გარეშე საფრთხე—ოსმალეთის, ბალშევიკების, დენიკინის არმიისა, ყველა ეს ერთი მეორეზე დაატყდა ჩვენს ქვეყანას, მაგრამ იგი ყოველივე აქედან გამარჯვებული გამოვიდა.

მთელი წელიწადი იგი უფსკრულის ნაპრალზე იდგა, ვიწრო ბილიკით მთის უძირო ჯურღმულს მისდევდა, მაგრამ გაიარა ბეწვის ხიდი და გაკუბული გამოვიდა ყოველივე გამოცდისაგან.

და დღეს იგი უფრო ძლიერია, ვინემ იყო წლის დასაწყისში. დღეს იგი უფრო ღონიერია, მტკიცე და შეგნებული ვინემ წლის თავში. ამ წელმა ჩვენი ხალხი ფეხზე დააყენა, თავის-თავის იმედი აღაძრა, საკუთარი ძალებზე დაყრდნობას შეაჩვია, სხვის თვალში შემყურეობაზე ხელი აიღებინა.

გარეშე საფრთხეთა მძიმე ჭიდილში გაიანასკვა ფსიხოლოგიური კვანძი დამოუკიდებელ არსებობისა, გაიზარდა ადამიანი, გაიზარდა შეგნება თავის პიროვნების, ღირსების, პატივის; და ესაა უდიდესი შენაძენი წარსული წლისა მთელი ხალხისათვის.

შინაური ფსიხოლოგია, „რუს ხელმწიფის“ კალთის ქვეშ თავის შეფარება დღეს აზრათ აღარ მოსდის ჩვენს დემოსს, ხალხს, უბრალო მოქალაქეს. იგი ამისთვის მეტათ გაიზარდა, ამ ჩვილი-ყრმის აკვნიდან ამოვიდა. და იგი ამიერიდან ყმათ არავის გაუხდება: იგი ვარგა ძმათ, მეგობრათ, ტოლათ, მოყვრეთ, მტრათ, მებრძოლთ, მაგრამ მონათ კი არა.

და იგი იცხოვრებს თავისით, თუ ძმურათ სხვას შეუერთდება, მაინც თავის დემოკრატიულ სულს და დამოუკიდებლობას არ დაკარგავს. რევოლიუციამ გაზარდა ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ენერგია.

წარსულმა წელმა სხვაც ბევრი წინაღმდეგობა წარმოშვა.

შინ იგი უდიდესი სოციალური რეფორმის მატარებელია.

მან მოსტაცა მიწა მცონარე მემამულეებს და მშრომელ მარჯვენას გადაუოლია. პირველი დაამხო, მეორე ააყვავა, ახალი ცხოვრება ახალ კალაპოტში ჩამოდგა. ცხოვრების საძირში ჩაბეჭული, ქვეყნის მურჯი, მრჩენელი ქვეყნის საათვეში მოაქცია და ერის ბედის, ერის მთავარ სიმაგრეს, მეს დემოკრატიას, ბუშას და გლეხს გადააბარა. მიწა—გლეხს, 8 საათის სამუშაო—მუშას, თავისუფლება და ხელშეუხებლობა ყველას—აი ლოზუნგი, წარსული წლის მიერ განხორციელებული, რაც 1917 წლის რევოლიუციამ დასთესა, ის წარსულმა წელმა ააყვავა, დააჯეჯილა. და მომავალმა უნდა დააბავთავოს, დაამწიფოს, დააგვირგვინოს. ასეთია მისი ანდერძი.

ნგრევა შენების წელიწადი იყო წარსული წელიწადი, დაირღვა რუსეთი, რევოლიუციის ნანგრევებ ქვეშ მოჰყვა ამიერ-კავკასია და ბრძოლა-ჭიდილში, სიკვდილ სიცოცხლის დასასრულებელ, გაალმასებულ ბრძოლის ქურაში იშვა დემოკრატიული რეპუბლიკა, დემოკრატიული, თავისუფალი წყობილებით, რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებით. მართალია, წლის ბოლო სომხეთთან ომით დასისხლიანდა, მაგრამ განა ერთიან სისხლის ღვარის წელი იყო გასული წელიწადი სომხეთის მტრული, ქურდული თავდასხმა, მხოლოდ მის შერცხვენით და ჩვენი დემოკრატიის გამარჯვებით დათავდა. დღეს უკვე აქაც ზეიის პირველი მერცხალი შემოფრინდა, და ჩვენ ეს მერცხალი გამარჯვების ჭიკჭიკით გვეგებება.

გამარჯვებას გილოცავთ ახალ წლისთვის! იქ, ფრონტზე მებრძოლ გმირებს, აქ, ზურგში მათ შემხარე მოქალაქეებს...

მაგრამ საქართველოს ბედი მარტო ჩვენს გარშემო არ ტრიალებს. ჩვენი დემოკრატია უკვე მსოფლიო ფერხულშია ჩაბმული, და მისი ბედი მსოფლიო ისტორიასთან მჭიდროთ გადაბმულია.

ევროპის ერებში შევდიოდეთ, და ევროპას ტრიალის გავლენას ყოველმხრივ განვიცდიდეთ.

ევროპა წარსულ წელში არა ნაკლებ ღელავდა, ვინემ რუსეთი და საქართველო.

ევროპა წარსულ წელს გადატრიალდა, გერმანია, ავსტრო უნგრეთი უდიდეს რევოლიუციის წინაშე სდგანან.

ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტები გამარჯვებას დღესასწაულობენ. მსოფლიო რევოლიუცია და მსოფლიო კონსერვატიული ძალები პირისპირ წამდგარი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძვიან. და ჩვენ ღრმად გვწამს, მთელი ქვეყნის დემოკრატიის სრული თანაგრძნობა, იმედი და სასოება იქით არის მიმართული, სადაც ძევს სათავე ცხოვრების განახლებისა, მომავლის ბრწყინვალე წყობილების განხორციელების.

რევოლიუციური დემოკრატია შეინძრა აღმოსავლეთ ევროპის უდიდეს სახელმწიფოებში, და მომავალ წელს უანდერძა დასავლეთ ევროპის დემოკრატიას მათ გზაზე დადგომა.

დიდი ომის დასასრული, დიდი დემოკრატიული მოძრაობის, უდიდესი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების სათავეთ გადაიქცა და კაცობრიობა სრულ განახლების, გადახალისების გზას დაადგა.

ოსში იშვა საქართველოს დემოკრატია, ომში იშვება ევროპის დემოკრატიის ბატონობა და ჩვენც მათთან ერთად იმედით, რწმენით, სასოებით ვეგებებით მომავალ წელიწადს!

„ვეღარ გაუძლებს ქვეყანა ძველი,
განახლებისა გრიგალის ქროლვას“

და ახალი წელი დაასრულებს იმას, რაც წარსულმა ჩასახა და სამუმკვიდრეოთ გადმოსცა.

მომავალი ეკუთვნის დემოკრატიას და მუშათა კლასს!

ბრძოლის ცეცხლში ნაწრთობნო, კლასობრივი რწმენით გზა გაუქებულნო! გილოცავთ ახალ წელს, გილოცავთ გამარჯვების იმედს!

ამიერ-კავკასია და საქართველოს რესპუბლიკა 1918 წელს.

როდესაც წელიწადი თავდება და ახალი იწყება, ჩვეულებათა გვაქვს უკან მოხედვა, განვლილ გზის თვალის გადავლება და აწონ-დაწონვა იმ საქმეებისა და იმ მოვლენებისა, რაც განვლილმა წელმა მოგვიტანა. 1918 წელი თავის მნიშვნელობით ბევრს ჩვეულებრივს ჰგავს წლებს უდრის. მით უმეტეს საქართველოს მოკლეთ მაინც გავიხსენოთ მთავარი მომენტები, რომლებსაც შოწმენიც ვიყავით ამ წლის განმავლობაში.

1917 წელმა მარშან საშინელი არეულ-დარეული და გამოფურკვევლობა დაგვიტოვა სამკვიდროთ. ნოემბერში ბალშევიკებმა სახელმწიფოს გადატრიალება მოახდინეს, რუსეთის დროებითი მთავრობა ჩამოგდეს [illegible] გამოაცხადეს ეგრეთ წოდებული „საბჭოს მთავრობა“. ამიერ-კავკასიის მთავრობამ, რომელსაც სათავეში უდგა „ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი“, თავის თავს სთვლიდა რუსეთის დროებითი მთავრობის ნაწილათ და ამიტომ ვერ დაემორჩილებოდა იმ ძალას, რომელმაც დროებითი მთავრობა დასცა. ამიერ-კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ცენტრმა და თვით „საგანგებო კომიტეტმა“ გადასწყვიტეს ცალკე მმართველობა მოეწყოთ ამიერ-კავკასიაში, დამოუკიდებელი რუსეთის ცენტრში მოქცეულ ბალშევიკურ „საბჭოთა მთავრობისა“, დაარსდეს მთავრობა, რომელშიაც შეეკრებენ წარმომადგენლები, როგორც ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციებისა, ისე იმ პარტიებისა, რომლებსაც გავლენა აქვთ სხვადასხვა ეროვნებებში და ეწოდოს ამ მთავრობას „ამიერ-კავკასიის კომისარიატი“. ეს გადაწყვეტილება სისრულეში იქ ა მოყვანილი და ახლად დაარსებულ ამიერ-კავკასიის მთავრობაში შევიდენ წარმომადგენლები სამი მთავარი პარტიისა—სოც. დემოკრატიის, დაშნაკცუთიუნის, მუსავათისა, ავრეთვე წარმომადგენლები მცირე პარტიებისა. აზნაურათ მოწყობილი მთავრობით შეეგება ამიერ კავკასია 1918 წელს.

მისი პოლიტიკური მდგომარეობა სრულიად გამოფურკვეული იყო. მთელ რუსეთში ამ დროს უკვე დასრულდა დამფუძნებელ კრების საარჩევნო კამპანია. დამფუძნებელ კრების დეპუტატების დიდი უმრავლესობა უკვე არჩეული იყო და წლის ბოლოში დამფუძნებელ კრების სხდომები უნდა დაწყებულიყო. ფაქტის მოლოდინში იყო ამიერ-კავკასია, იგი ელოდა რუსეთის ნებისყოფის უზენაეს გამომხატველის ხმას და დამფუძნებელ კრების გადაწყვეტილებამდის სცდილობდა თავის ძალით დაეცვა წესიერება და თითონ ეპატრონა თავის თავისთვის.

აზნაურათვე გამოფურკვეული იყო ამიერ-კავკასიის საერთაშორისო მდგომარეობაც. 18 ნოემბერს*) ქ. ერძინჯანში შეიკრა დროებითი ზავი ოსმალეთთან, ამის შემდეგ გაბალშევიკებული ჯარი ფრონტიდან დაიძრა და მისი იქ დაკავება სრულიად შეუძლებელი გახდა. ჯარის სტიქიური დაბრუნება მტრის შემოსევაზე ნაკლებს საფრთხეს არ უქადდა ქვეყანას.

ამ ორი ფაქტის მოლოდინით შეხვდა ჩვენი ქვეყანა 1918 წელს. ამ წლის პირველი ორი თვე ამიერ-კავკასია განიწყვეტლივ იდგა საშინელ საფრთხის წინაშე: გაბალშევიკებულ ჯარის ეშელონები ბრუნდებოდა ფრონტიდან, მათი დაბრუნება ყოველს წამს განადგურებას უქადდა ჩვენს ქვეყანას, და მთელი ენერგია, მთელი ყურადღება, როგორც მთავრობისა, ისე დემოკრატიულ ორგანიზაციებისა იმაზე იყო მიპყრობილი, რომ ეს ეშელონები მშვიდობიანათ და უმტკივნეულოდ ჩაეტარებინა. რამდენათმე ეს მიზანი კიდეც მიღწეულ იქმნა: პატ რ პატარა უფროსობას, გზის გასწვრივ მდებარე მცხოვრებთა ძარცვას ტ რბევას თუ არ ჩავთვლით, მბოლოდ ერთი დიდი უბედურება მოჰყვა ეშელონების მოძრაობას: ეს იყო შამხორში მომხდარი შეტაკება მიმავალ ეშელონებსა და თაობრებს შორის; ამ შეტაკებაში თაობრების ბრბოგმა მრავალი ჯარისკაცი გაქლიტეს, ამით საშინლათ გაძნელეს შემდეგ ეშელონების ხვლა, სულიერი განწყობილება საშუალოლოში მიმავალ ჯარიკაცთა კიდევ უფრო ანარქიული, პაგრომული და გამანადგურებელი გახდა. თფილისის განადგურება უკანასკნელ ეშელონების მიერ ერთ დროს მგზავზე ეკიდა. მაგრამ დემოკრატიულ ორგანიზაციების მეცადინეობით რკინის გზით მიმოსვლა ისევ მოუწყო, ეშელონები ცოტა დამშვიდდნენ და თანდათან აგვაცილეს ქვეყნის აოხრების, განადგურების და ბალშევიკების გაბატონების საფრთხე. საშინელმა ქარტეხილმა, რომელიც სტიქიურის ხიძლიერით დაგვიტყდა თავს, გადაიარა და ჩვენმა ქვეყანამ ცოტა შეება იგრძნო.

ბალშევიკურ ეშელონის საფრთხესთან ერთად საერთაშორისო ცხოვრებამაც მნიშვნელოვანი ფაქტები მოგვიტანა. 14 იანვარს ოსმალთა მთავარ სარდალმა წინადადებით მიმართა ამიერ-კავკასიის მთავრობას—დროებითი ზავი მკვიდრ ზავათ გადავაქციოთ და ამის შესახებ მოლაპარაკება გავმართოთო. ჩვენს მთავრობას ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, იქნება რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევა მოხდესო, ამიტომ ოსმალეთის მთავარსარდალს უპასუხა, ამიერ-კავკასიას არა აქვს უფლება ზავის ჩამოგდებისა, ეს რუსეთის სახელმწიფოს საქმეაო. მაგრამ ამ პასუხის გაცემის უმალვე მოვიდა ამბავი, რომ რუსეთის თურქამენ იანგარს შეკრებილი დამფუძნებელი კრება ბალშევიკურმა მთავრობამ კიდეც გარეკა. უკანასკნელი იმედი რუსეთში წესიერების აღდგენისა გაჰქრა. ბალშევიკურმა მთავრობამ თითონ იკისრა ზავის საქმე, იგი ცენტრალურ სახელმწიფოების კოალიციასთან მოლაპარაკებას მართავს. ამიერ კავკასიის მთავრობას წინადადება მოსდის თავისი წარმომადგენელიც გაგზავნოს ბრესტ-ლიტოვსკში ზავის საქმეში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ამიერ-კავკასიის მთავრობა იცხადებს, ცალკე სახელმწიფოთ არა ვთვლით თავს და

*) ყველგან ახალი სტილით ვთვლით.

ᲓᲦᲔᲡ

30 დეკემბერს ჩვენმა ჯარმა დაიკავა ახალ ხელ. ეკატერინეფელდის სამხრეთით ამავე დღეს ჩვენმა ჯარმა დაიკავა ორი მნიშვნელოვანი მაღლობი. 31 დეკემბერს მტრის რაზმი შეეცადა ახალქალაქის მიმართულებით საზღვრის გადმოლახვას, მაგრამ გაფანტულ იქნა ჩვენი ჯარის მიერ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

მოკავშირენი ნეიტრალურ სახელმწიფოებს საზავო კონფერენციაზე არ დაუშვებენ. ზავის ხელშეკრულობის დადების შემდეგ გაირჩევა ხალხთა ლიგის საკითხი, სადაც დაშვებული იქნებიან ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლები.

გერმანიაში ანარქია ძლიერდება, განსაკუთრებით მდგომარეობა გამწვავებულია შლეზვიგის ქვა-ნახშირის რაიონში. „ფორვერტსი“ ასე ახასიათებს გერმანიის ახლანდელ მდგომარეობას: „ჩვენ ვერ შევხძლებთ ოდნავ დამაკმაყოფილებელ ზავის შეკვრას. პოზნანი უკვე დაკარგულია, დანიგის საფრთხე მოელის. ალარ ძალგვიძს ავიტანოთ ახლანდელი მდგომარეობა, თასს ვერ დავცლ წვეთ გარეშე საფრთხეს“.

პოზნანში პოლონელებსა და გერმანელებს შორის შეტაკება მოხდა

საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობას ვერ ვიკისრებთო. 2 მარტს მოვიდა ცნობა, რომ ბალშევიკურ მთავრობას უკვე შეუკრავს ზავი და ამიერ კავკასიის ბედიც გადაწყვეტილია: ოსმალეთისთვის მიუცია ყარსი, არდაგანი და ბათუმი მათი ოლქებითურთ. ამიერ-კავკასიის კომისარიატი კმაყოფილა არ დარჩა ამნაირი ზავით, ბალშევიკური ზავი არ სცნო და გადასწყვიტა თითონვე გამართა სეპარატიული მოლაპარაკება.

(შემდეგი იქნება).

ᲞᲠᲔᲡᲐ

„საქართველოს“ ახირებული თანამშრომელი ბ. გვაზავა თავს უფიდეს დიპლომატად ხთვლის. იგი დარწმუნებულია, რომ სადაც მისი ფეხი არ მისწვდება, იქ დემოკრატია ვერას გააკეთებს. ამ ჟამად, როცა ჩვენი დელეგაცია მიდის ევროპაში, იგი ჩვეულებრივ კილოზე ფლერის: სოციალისტური შემადგენლობა დელეგაციისა საქმეს გაფუჭებსო.

უხეშად და უბამსად იხსენიებს კიდეც ჩვენს დელეგაციას და ადარებს კერენსკისთან, რომელსაც საფრანგეთი და ინგლისი სრული უყურადღებობით შეხვდნენ. მაგრამ ამ ვაჟბატონს ვერ წარმოუდგენია, რომ კერენსკი ფიდიოდა, როგორც უარყოფილი რუსეთის ხალხისაგან. ჩვენი დელეგაცია მიდის, როგორც აღშურვალი ამ ნდობით და ზურგ გაშაგრებული ხალხისაგან. აი, ჩვენ რომ გვაზავა გგვეგზავნა ქართველი ხალხის სახელით,— იგი სწორეთ კერენსკის მდგომარეობაში ჩავარდებოდა. მას ეტყოდნენ: რას მიეფეგ მოგდები, იქ სოციალისტები ბატონობენ, შენ ორი კაციც არ გეთანხმებოდა—ეს ბ. გვაზავამაც უნდა იცოდეს. მაგრამ რა ვნალვლება. თუ დელეგაციამ გააკეთა დავალებული ეს მისთვისაც სასარგებლო იქნება, თუ ვერ გააკეთა და ის ყოყლოჩინობით იტყვის: მე აკი გითხარით, ნუ გაგზავნით სოციალისტებსო... და ამ დემაგოგით შეეცდება პარტიული კაპიტალის შეძენას... ერთი სიტყვით, ორივე შემთხვევაში მოგებას გამოიელის და ამიტომ „უნდა ითქვას“ გაიძახის ე. ი. უნდა ერთი ქვა მაინც ვესროლოთ სოციალდემოკრატიასო.

ბ. გვაზავას ერთი რამ გამოჰპარვია: სახელდობრ ის, რომ დემოკრატია ასეთ მის გამოსვლას ღირსეულად დაეფასებს.

* * *

„მშაკს“ (№ 269) მოჰყავს ჩვენი გაზეთიდან (№ 280) ამონაწერი და შემდეგს დასძენს:

„ერთობა“, როგორც სჩანს, ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევს „მშაკის“ წერილებს. ის რასაც გვირჩევს ვაკეთოთ, ჩვენ ყოველთვის გაგვიკეთებია. ერთი რამ ჩვენ არ მოგვიმოქმედია, და არც მოვიმოქმედებთ. ეს ის ჯრის, რომ ჩვენ არ გავაბრუნდებთ სალდემოკრატიულ გზას, რომელსაც სამწუხაროდ ასე დაშორდა, როგორც „ერთობა“, ისე „Борьба“.“

ჩვენ ვეკითხებით „მშაკისაგან“ პირდაპირ პასუხს: რა საშვალებით ეპირებენ სომხის ჯარის შემოსევისაგან საქართველოს დემოკრატიის ხსნას. ის კი ტრაბახით გვიპ სუხებს: ჩვენ საუკეთესო დემოკრატები ვართო.

დაშნაკცუტიუნის იარაღის წინაშე თავის მოხრას ურჩევენ ჩვენს ხალხს და ალბათ ეს მიაჩნიათ ნამდვილ სოციალისტობათ. მაგრამ უნდა უთხრათ, ამ სწორეთ ოვარ სოციალისტებსა და დემოკრატებს, რომ ეს არის ტოლსტოიზმი და არა მარქსიზმი. ჩვენ კი, მარქსის მიმდევრობა გვირჩევნია თუნდ „მშაკის“ ტოლსტოგელთა აყოლას.

ამიტომ ჩვენ დაშნაკცუტიუნის იდეებსაც ვებრძვით, საქმესაც და ხმალსაც, ყველას თავის შესაფერისათ. სწორი გზაც ესაა და გამარჯვებაც მხოლოდ ეს გზა მოგვიტანს. გამარჯვება მუშათა კლასისა, დემოკრატიისა კი უმაღლესი კანონი უნდა იყოს ყოველთვისაც, თუ... დაშნაკცუტიუნის ტყვეობიდან სულებით დაღწეთ თავი.

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘ

(სამხედრო შტაბის ცნობა)

31 დეკემბერი.

გუშინ, 11 საათზე ჩვენმა ჯარმა დაიკავა სად. სადახლო.

გუშინ ეკატერინენფელდის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიკავა ორი მნიშვნელოვანი მაღლობი, დღეს ბრძოლა გრძელდება.

დღეს გათენებისას მოწინააღმდეგეს მცირე რაზმი შეეცადა გადამგზავრებულიყო ახალქალაქის მაზრის საზღვარზე, მაგრამ გავფანტეთ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

ᲗᲣᲚᲐᲕᲔᲠᲘ.

შვიდი თვეა მას შემდეგ, რაც საქართველოს რესპუბლიკის ჯარმა და სახალხო გვარდიამ გადაარჩინა შულავერის მცხოვრებნი ოსმალთა ასკერებისა და თათრების ბანდების განადგურებას.

რამდენი ძვირფასი ამხანაგი შეგწირეთ მაშინ მტერს, რამდენი ტანჯვა წვალება გამოვიარეთ?

ჯერ კიდევ ორი დღის ამოსულნი ვიყავით ბათუმიდან, ოსმალთა ტყვეობიდან განთავისუფლებულნი, რომ გავეშურეთ ოსმალთა წინააღმდეგ შულავერისაკენ.

ერთი კვირის ბრძოლის შემდეგ გავანთავისუფლეთ შულავერი „ბანდებისაგან“ და გავსწორდეთ გზა სანაინამდე.

შულავერლები მაშინ დიდი აღტაცებით შეგვეგებნენ და, ვინ იცის, რაებს არ გვპირდებოდნენ, მაგრამ გულით კი, თურმე ორმოს გვითხრიდნენ.

მე არ მგონია და არც დავიჯერებდი, თუ შულავერის მცხოვრებნი ისე მოგვექცეოდნენ, როგორც ეს მოხდა. მე მახსოვდა ყარაგანოვის სიტყვა გენერალ წულუკიძის წინაშე წარმოთქმული შულავერში, როდესაც ჩვენი ჯარი ირაღის ასაყრელად შეეგდო. „ჩვენ მუდამ ვიყავით და ვართ კიდევაც საქართველოს რესპუბლიკის ერთგული დარაჯნი და მცველნი და ვიქნებით ყოველთვის დამცველნი ისე, როგორც ნამდვილი ქართველნი“.

მე მახსოვდა ეს სიტყვები, მაგრამ აი რა აღმოჩნდა სინამდვილეში:

21 დეკემბერს, დილის 6 საათზე შეიარაღებული შულავერლები მოულოდნელათ დაგვესხნენ თავს სადგურ აშაგა-სგრალში, სადაც სულ 30 კაცამდე ვიყავით. მეტი ლონე ადარ იყო, ჩვენც უნდა დაგზვედროდით თავდამსხმელთ, რომლებიც ათჯერ მეტი იყვნენ ჩვენზე. ბრძოლაში ბევრი ამხანაგები დავკარგეთ, ის ამხანაგები, რომლებიც შულავერის გასანთავისუფლებლად შეუპოვრად ებრძოდნენ ოსმალებს.

შეტაკების დროს ისე ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, რომ კარგად შეიძლებოდა ერთმანეთის ცნობა. როდესაც შევატყე, რომ ჩემს წინააღმდეგ რამოდენიმე სომეხი მოდიოდა და ალარ შეიძლებოდა ჩემი იმ ადგილას დარჩენა, წამოვხტი, 5—6 საჟენის სიშორეზე უკვე მოსულიყვნენ ჩემთან. კარგად გავარჩიე ერთი ჩემი ნაცნობი ახალგაზრდა, რომელმაც დამიყვირა: „გაჩერდიო“ და შემიკურთხა კიდეც...

რაღაც მოჩვენება მეგონა მისი ჩემზე თავდასხმა... ასტყდა სროლა. უეცრად მარჯვენა ხელის შუა თითში მიდალატა. შიგ სახსარში ტყვია მომხვდა. ამ დროს ჩვენი ჯავშნიანის ტყვიისმფრქვეველებმაც დაიქუხა და მოახლოებული მტერიც გაჰფანტა.

მას შემდეგ თფილისში წამოვედი, მაგრამ ვერ ვისვენებ: მინდა ვნახო ის შულავერელი მეგობარი, რომელმაც შუა თითი იქ დამატოვებია. არ მისვენებს გული, არც წერა შემიძლია, კალმის ტარი ორი თითით მიჭირავს და ისე ვწერ, არ შემიძლია მოვითმინო, გულში ჩავიკლა ეს მწუხარება. ნეტავ ეხლა, როგორ შეხვდება ის შულავერელი „ამხანაგი“? რას მეტყვის იმ დროს, როდესაც ხელს გამომიშვერს და ხუთი თითის მაგივრად ოთხი თითით შევხვდები? ნეტავ ვინ აფიქრებია მასეს საქმე? რომ მეუბნებოდა წერილები ხშირად მწერეო, დღეს, როგორ მივწერ, როცა მან მომტაცა საწერი ხელი?

ᲮᲐᲬᲧᲐᲚᲘ ᲛᲣᲨᲐ

თფილისი, 27 დეკემბერი.

ᲑᲝᲚᲩᲐᲚᲝᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲜᲔᲓᲘ, დაგეტ-ხაჩინი.

ეკატერინენფელდთან მტრის დამარცხების შემდეგ საჭირო იყო იმის გამორკვევა, თუ რა გზას ადგნენ დაგეტ-ხაჩინის და სამშვილდოს მცხოვრები სომხები, რადგანაც ეს ორი სოფელი ზურგში ჰყოფდა მოქცეული ეკატერინენფელდში მომქმედ ჩვენ ჯარს. გაგზავნილ იქნა რამდენიმე ჯარისკაცი ამბის გასაგებათ. სოფლთან მიახლოვებისთანავე მათ სროლა აუტეხეს და ისინიც უკან გამობრუნდნენ მეორე დღეს ისევ გაიგზავნა პატარა ცხენოსანი რაზმი დასაზვერავათ. როგორც კი დაუახლოვდნენ სოფელს, მაშინვე საშინელი სროლა აუტეხეს რაზმს და დასჭრეს კიდეც რამდენიმე მათგანი. როცა ეს რაზმი უკან დაბრუნდა აშკარა შეიქნა, რომ დაგეტ ხაჩინში მტერი იყო გამაგრებული. ამიტომ საჭირო დარჩა ამ სოფლის მტრისაგან განწმენდა. სამი დღის ბრძოლის შემდეგ—დაგეტ ხაჩინთან მტერი სასტიკად დამარცხდა.

იმ მხრიდან, საიდანაც ჩვენი გვარდია უტევდა, დაგეტ-ხაჩინი შეწორტყმული ია მიუვალი ხალი კლდეებით, რომელთა შუა ჩამოდის მდ. ხრამი. დაგეტ-ხაჩინში შესასვლელათ არის ერთად ერთი გზა ხრამის ხეობიდან. მდ. ხრამის გაღმა ეს გზა გაჭრილია მიუვალ კლდეებს შუა და ამ კლდეების მაღლობებზე ჩასაფრებული იყო მტერი ტყვიისმფრქვეველებით. ბრძოლის დროს გვარდიის ერთ ნაწილს შემოუვლია მეორე მხრიდან, მდინარეზე ღამით გადასულან, აცოცებულან კლდეებზე და აღმოსავლეთის მხრიდან მოადგნენ სოფელს. აქ ისინი მოადგნენ მთავარ მაღლობს, რომელიც დაჰყურებს სოფელს და სადაც სამი წყება სანგრები ჰქონოდა გაკეთებული მტერს. ამ სიმაგრეებიდან ხელჩართული ბრძოლით ამორეკეს ჩვენებმა მტერი და უკუაქცევეს იგი. მტრის ჯარს თან გაჰყვა მცოცავრებნი—დიდი და პატარა, ქალები და მოხუცნი.

ეს სოფელი იმ რაიონში უმთავრესი სოფელია სომხეთისა, სადაც 700 კომლამდე ყოფილა. არც დაწვით, არც დანგრევით არაფერი დაუშავებია ჩვენს ჯარს გარდა იმისა, რომ რამდენიმე ყუმბარა დასცემია აქა იქ სახლებს ბრძოლის დროს.

ეტყობა, დიდი ხნის მზადებაც ჰქონდა მტერს ამ სოფელში. ერთ ერთ სახლში შემთხვევით აღმოაჩინეს ჩვენებმა მიწაში ჩამარხული ტყვიისმფრქვეველი „კოლტა“ ს სისტემისა, სრულიად მოწყობილი.

მთელი სოფელი საშინელ სანახაობას წარმოადგენს. აქა-იქ ჰყრია ჯერ კიდევ აულაგებელი დახოცილთა გვამები, ჰყრია ბრძოლის დროს შემთხვევით დახოცილი შინაური ცხოველები და ძაღლები.

დაგეტ-ხაჩინიდან ოთხ ვერსზე დასავლეთით არის სომხების სოფელი სამშვილდო. დაგეტ ხაჩინის აღებისთანავე ეს სოფელიც დასცალეს მცხოვრებლებმა მხოლოდ ოთხი-ხუთი მოხუცნი დაუხვდათ სოფელში. სამშვილდოშიაც აუარაგებელი სურსათი და ტანება დარჩა მტერს.

უკანასკნელ დღეებში ნისლით იყო მოცული არე-მარე, რაც მეტის-მეტად ხელს უშლიდა სამხედრო ოპერაციებს.

საერთოდ, როდესაც უკვირდები ჩვენი გვარდიელების და ჯარისკაცთა მოქმედებას, გული სიხარულით ევსება და რწმუნდები, რომ არ დაიღუპება ის თავისუფლება, რომელსაც ასეთი თავდადებული დამცველნი ყავს.

ᲒᲘᲥᲢᲝᲠ ᲜᲘᲜᲘᲫᲔ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ ᲒᲐᲙᲝᲠᲝ

ბაქოში 24 დეკემბერს დილის 10 ს. დაიწყო საერთო გაფიცვა მუშებისა. „ბაქოს გაფიცვის კომიტეტის უწყებები“ შემდეგ ნაირად გადმოგვცემს გაფიცვის მიზეზებს: „გაფიცვას წინ უძღოდა მუშათა კონფერენცია, საცა დადგენილ იქნა 24 დეკემბერს გამოეცხადებინათ გაფიცვა. გაფიცვის მიზეზი იყო ის პოლიტიკა მოკავშირეთა სარდლობისა, რომელსაც ანხორციელებდა გენერალი ტომსონი და მისი ხელქვეითი კოკერელი. ინგლისელებს დაეტუსაღებინათ ბაქოს პროლეტარიატის 5 ხელმძღვანელი ლიდერი და უპირებდენ მათ ინდოეთში გადასახლებას. ეს ლიდერები იყვნენ: ხაკიანი, იაკობშტერნი, ახრამ ყელუნცი, ალექსანდრე არაქელიანი და ვიტოლი. ბაქოს მუშებისაგან იყო დელეგაცია ტომსონთან, რომელმაც მოითხოვა მათი ხელმძღვანელების განთავისუფლება, მაგრამ ტომსონმა ორპოპული პასუხი გასცა და დაჰპირდა, რომ 6 თებერვამდე გამოძიება მათ შესახებ დამთავრდებოდა და უთხრა, რომ მოეცადათ გამოძიების შედეგამდე. ტომსონი ცდილობდა ბანზე სიტყვა აეგდო და ჰპირდებოდა, რომ მალე მოწესრიგდებოდა სასურსათო კითხვა, რომ იხინი შემოიტანდნენ ფეხსაცმელებს, მანუფაქტურას და სხვას და, რომ ამ საქმეებში საჭირო იყო ბაქოს მუშათა კლასის დახმარება. რაც შეეხება იმ 5 პირის დაკავებას, მათი იზოლაცია საჭიროა თვით მუშებისთვისა. ამ გაურკვეველი პასუხით წარუდგა დელეგაცია 23 დეკემბერს კონფერენციას. ყველანი მოითხოვდნენ, რომ მუშებს მიეცათ ერთა მჭრელ იარაღისთვის—კლასიერ ბრძოლისა—პოლიტიკურ გაფიცვისათვის. თუმცა კონფერენციას ბევრი საეჭვო პირები დაესწრნენ, მაგრამ იგი დახურულ კარებში არ ჩაუტარებიათ. ერთმა ორატორმა სთქვა, რომ დაე ყველამ გაიგოს, რომ ჩვენ არ გვეშინოდა რუსეთის თვითმპყრობელობის და ვერც ინგლისის სარდლობის თვითმპყრობელობა შეგვაშინებსო. კონფერენციაზე ორატორები მოითხოვდნენ, რომ გაფიცვა დაწყებულიყო და გაგრძელებულიყო მანამდე, სანამ მათი გამარჯვებით არ დამთავრდებოდა. ორატორები ამბობდნენ, რომ ისინი უთავოთ ვერ გამოდგებოდნენ და ინგლისის სარდლობა კი სცდილობდა მათ თავის მოჭრას. ამბობდნენ, რომ მოკავშირენი ჯერ მოყვრის სახელით მოვიდნენ და შემდეგ კი ჩვენ მტრებათ გადაიქცნენო, რომ ისინი თავისუფლებას ვერვის დაანებებდნენ და სხვ. მუშები აღნიშნავდნენ, რომ ინგლისელები მოვიდნენ ჩვენთან დამფუძნებელი კრების, რუსეთის დემოკრატიის აღდგენის და სხვა ლაშაზი ლოზუნგებით, მაგრამ რას ვხედავთ სინამდვილეში? მათ გაამეფეს თვითმპყრობელობის სატრაპეზის ძალდატანება და თვითნებობა. გადაწყდა გაფიცვა გამოეცხადებინათ. აირჩია გაფიცვის კომიტეტი. მეორე დღეს კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება, საცა ეწერა: ამხანაგებო! ჩვენი ორგანიზაციული, პოლიტიკური გაფიცვით ჩვენ, რამაც უნდა დაგვიჯდეს ეს, უნდა მივაღწიოთ შემდეგს: 1) დაუყონებლივი განთავისუფლება შეპყრობილი ამხანაგებისა, 2) სრული თავისუფლება კრებების, სიტყვის, პრესის, ორგანიზაციების და პიროვნების ხელშეუხებლობა. ჩვენ ვატყობინებთ მოკავშირეთა დემოკრატიას, თუ რას სჩადიან ბაქოში მათი სახელით და მივმართავთ მათ გავლენა იქონიონ და ალაგმონ თვითმპყრობელური წეოოდები ინგლისის სარდლობისა დიდი რუსეთის სხვადასხვა ადგილებში, რომ აწარმოებენო.

სამი დღის შემდეგ, 27 დეკემბერს, პოლიტიკური გაფიცვა დამთავრდა მუშათა სრული გამარჯვებით.

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

30 დეკემბრის, საღამოს სხდომა.

განსახილველია საექიმო-სანიტარული საქმე და პარლამენტის ადრესი.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ნ. ელიავა. მომხსენებელი აღნიშნავს ომის დაწყების პირველ დღიდანვე ქალაქთა კავშირის აღმასრულებელმა ორგანომ დაადგინა გაერთიანებულიყო ყველა ის ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლიანთ საექიმო სასანიტარო საქმის მოწყობა-მოწესრიგება. ამ მიზნით მთავრობის ნებართვით დაარსდა ცენტრალური ორგანიზაცია, რომელშიაც შევიდენ შემდეგი ორგანიზაციათა წარმომადგენლნი: ქალაქთა კავშირის, წითელი ჯვრის, სახალხო გვარდიის, სამხედრო საექიმო-სასანიტარო უწყების და სამოქ. საექიმო უწყებისა. ამ ორგანიზაციამ შექმნა ხელმძღვანელი ორგანო—ბიურო 4 კაცისაგან შემდგარი საექიმო სასანიტარო განყოფილების ინსპექტორთან. ამ ამ ცენტრალურმა ორგანიზაციამ სამუშაო ასე განაწილა: ფრონტზე მუშაობა ეკისრება სამხედრო საექიმო-სასანიტარო უწყებას, ადგილობრივად—ქალაქთა კავშირს, ხოლო ფრონტის ახლო—წითელ ჯვარს. შემდეგ მომხსენებელი შეეხო იმას, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული და როგორ მოეწყოს პრაქტიკულად საექიმო-სასანიტარო საქმე და ამბობს: ჩვენ უნდა ყოველნაირად ხელი შეუწყოთ ჯარის სისუფთავეს და ამ მიზნით განზრახული გვაქვს ხშირად მივაწოდოთ ჯარს სუფთა საცვლები და იქიდან წამოვიღოთ ჭუჭყიანი გასარეცხად. უნდა მივაწოდოთ ჯარს ცხელი საჭმელი. საჭირო არის აგრეთვე ჯარისკაცი ბრძოლის ველზე იქვე პოულობდეს მაშველს—უნდა მოეწყოს სანიტარული რაზმები, რომლებიც ბრძოლის დროს შევლენ და გამოიყვანენ დაჭრილებსო. უნდა გვყავდეს იქვე ისეთი რაზმები, რომლებიც შეუხვევენ ჭრილობას, შემდეგ უნდა გადმოვიყვანოთ აქეთ და გავანაწილოთ ავადმყოფობის და ჭრილობის მიხედვით საავადმყოფოებში.

შემდეგ მომხსენებელი ეხება იმას, რაც არის მოწყობილი ადგილობრივ თფილისში და ამბობს, რომ გვაქვს სამხედრო გოსპიტალი ათას ასი ლოგინით, იქვე ახლო ეწყობა განმანაწილებელი პუნქტი ორასი ლოგინით, გარდა ამისა ქალაქში არის შვიდ სახადით ავადმყოფებისათვის ორასი ლოგინი, ჭირურგიული საჭიროებისათვის 175 ლოგინი, ბორჯომში არის ასი ლოგინი და ასე. ამ დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობამ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი, რამდენათ მისაღები და დამაკმაყოფილებელია ცენტრალური ორგანიზაციის მიერ სამუშაოს განაწილება და რა დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ დემოკრატიულ ორგანიზაციებს.

მცირე კამათის შემდეგ ყრილობამ სრული ნდობა გამოუცხადა ამ ცენტრალურ ორგანიზაციას და გამოსთქვა აზრი, რომ ამ ორგანიზაციაში შევიდეს თფილისის ერობის წარმომადგენელი. დახმარების შესახებ ყრილობამ დაადგინა: პრინციპიალურად ყრილობა აღიარებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს მთავრობას ომის წარმოებაში. აგრეთვე მიენიჭოს ამ ცენტრალურ ორგანიზაციას კანტროლის გაწევის უფლება იმ დაწესებულებებში, რომელნიც მედიკო სანიტარულ საქმეებზე მუშაობენ.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე წინადადება ბურჟუაზიის სამხედრო საჭიროებისათვის დაბეგვრის შესახებ.

პარლამენტისათვის მისართმევი ადრესის შემუშავება მიენდო პრეზიდიუმს, ოგიერთ ყრილობის წევრთა მონაწილეობით. ადრესზე ხელი უნდა მოაწერონ ყველა წარმომადგენლებმა. ამით დამთავრდა ყრილობა. 31 დეკემბერს ყრილობამ შემუშავებული ადრესი მიიღო და წარუდგინა პარლამენტს.

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲜ

არ ვიცი მეძინა, თუ ცხადში ვიყავი. ახალ წელს მოვეელოდი, მხოლოდ მახსოვს ფრონტზე ვიყავ:

— ძველი წელიწადი ბრძოლაში ლევს თავის უკანასკნელ წამებს და ბრძოლასვე უანდერძებს ახალ წელიწადს, სთქვა ტყავში გახვეულმა, ოდნავ წელში მოხრილმა მებრძოლმა, რომელიც სხვებთან ერთად თოვლით დაფენილ მაღალი მთის წვერზე გაჩაღებულ ცეცხლს შემოსჯდომოდა.

ღამის სიბნელეში ცეცხლის ალი კეპკა აწეულ მას დაბნეულ შუბლს და თოფის წამლით გამურულ სახეს საოცნებოთ ფლამენებოდა, იდუმალათ დასთამაშებდა.

— ეს იმიტომ, ამხანაგო ალექსანდრე, რომ ყველა ჩვენთაგანი კარგათ დარწმუნდეს, რომ ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლებას ბრძოლითვე უნდა დაცვა, ბრძოლითვე უნდა შენარჩუნება და განმტკიცება. თავისუფალი საქართველო აი ახლა ამ ბრძოლის ქურაში იქედება და მაგრდება; ახალ წელთან ერთად ამ საბედისწერო და მუხანათურ ომში მტრის დამარცხებით და ზურგში თფილისის გაწმენდით—აი ახლა კაედება ნამდვილი დემოკრატიული საქართველო, რომელსაც თავისებური სიცოცხლის და ბრძოლის სული ედგმის; ამ ბრძოლის ყოფინაში ფოლადდება თავისუფალი საქართველოს ნების-ყოფა, ურომლისოთაც მისი არსებობა შეუძლებელია, გაეხმაურა მას შუა გაყოფილ და გაშლილ შავ წვერ-ულვაშით შეეგვრემანი, მარილიანი და დარბაისელი სახის პატრონი აფიცერი, რომელიც ხის ნაკაფზე ჩამომჯდარიყო.

— საუკუნის მგზავსი წელიწადია, ამხანაგო სტეფანე, რაც ფრონტებზე დგიდგართ ამისთანა მწყავე ბრძოლა არ შეგხვედრია; ბევრი რამ ვნახეთ, მაგრამ, რაც აქ ამ მუხანათურ ომში განვიცადეთ, რაც აქ საბედისწერო წამები თავს გადვიყარეთ, სხვაგან არ გვინახავს; ამიერიდან ისტორიული ეკატერინენფელდი დაუვიწყარია; ეეხ, ამხანაგო სანდრო, სანდრო!. ბრძოლის ცეცხლში, როგორ ბრწყინავდი, გალომებული, როგორ იბრძოდი და აბრძოლებდი. უნდა ვაღიარო, რომ ასეთი საერთო ერთსულოვანი აღფრთოვანება და აღტაცება ჯერ არ მინახავს... ეს იმისთვის, რომ ყველა გვარდიელმა, ყველა ჯარისკაცმა კარგად იცის, რომ ჩვენ ამ მუხანათურ ომში, რომელიც შოვინიზმის შხამ-გესლით სავსე დაშნაკცაკანებმა თავს მოგვახვიეს, ცამდის მართლები ვართ; ამიტომაც არის, რომ მთელი თავისი აღშფოთებული გულით და სულით თავ განწირულათ იბრძვის ყველა; და კვლავ, ვიმეორებ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ,— ღრმა რწმენით ომახიანთ გამაჰკვეთა შინელ ზეგიდან დურბინდით და მაუზერით შეიარაღებულმა, რომელმაც ჯერ შავი ჩერქეზული ქუდი და შემდეგ სათვალეები გაისწორა.

— ვალიკო, მე ეხლა წავალ და მზვერავი რაზმით ახლო-მახლო დავზვერავ, წკრიალა ხმით დაიხმაურა მორჩილი ტანის მებრძოლმა, რომელიც ადგა, მაუზერი წელზე შეათამაშა, გაისწორა და ძირს ფერდობისაკენ დაეშვა.

— ნაპოლეონ, ყარაულებიც გამოცვალე, მიაძახა მიმავალს ვალიკომ.

ამ დროს ქვეყიდან გარკვევით მოისმა კეხური მრავალ ჟამიერის გუგუნი, რომელიც დაბლიდან მაღლა საფეხურებით მიიწევდა, თანდათან ძლიერდებოდა, იზრდებოდა, ჰარმონიულათ აგრგვინებული ჰაერში იშლებოდა, გამოხმობას იწვევდა და მთის კორწოს ნაპრალებში იკარგებოდა.

— აი ამ დიდებული სიმღერით ღაღადებს ჩვენი ხალხი და ყველას, ყველა ერს, საერთაშორისო ხალხთა ოჯახს გულით უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს, სთქვა სტეფანემ.

— გულდავრძლიანი ბურჟუაზიული ეგოიზმით და შხამ გესლიანი შოვინიზმით გაჟღენთილ დაშნაკელებს კი უნდათ ამ ხალხს ზურგში ქურდულათ ჩასცენ ხანჯალი და თავისუფლებასთან ერთათ სიცოცხლეც მოუსპონ, ნაღვლიანად დაუმატა ვალიკომ, როდესაც სიმღერა შესწყდა და მხოლოდ მისი გამოხმობა ღა ისმოდა კლდეღრეებიდგან.

შემდეგ მოისმა:

„ყველა სდუმდა; ჩემს გარშემო
მისწყდა ხმა მუშაობისა,
მხოლოდ მაღალი მთებიდან
ისმის ხმა გამოხმობისა;
ესე ცელქი გამოხმობა
ხშირ-ხშირათ მესაუბრება
და იმისგან ჩემი გული
ხან ლხინობს, ხან იტანჯება.
ნუ თუ ალარ მიგნიჭის

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ ᲒᲐᲙᲝᲠᲝ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ ხალხს ბედნიერებაᲘ?
გამოხმობა მთის იქიდან
გადმოგვძახებს: შეიძლება!..

— ბიჭოს, ეს რა კარგი სიმღერა იყო?!. მე ეს პირველათ მესმის,—სთქვა ალექსანდრემ, რომელიც აქამდე სახეზე ღიმილ-შეჩერებული სიმღერას გულმოდგინებით ისმენდა.

— გაიგონე, ამხანაგო ალექსანდრე?!. ჩვენი მრავალ-წამებული ხალხი ამ სიმღერაში კითხულობს: ნუ თუ აღარ მიენიჭოს ქართველ ხალხს ბედნიერებაᲘ?!. და იმედიანობს: გამოხმობა მთის იქიდან გადმოგვძახებს: შეიძლებაᲘ!..

— შეიძლება და კიდევაც იქნება,—ღრმა რწმენით დაადასტურა ალექსანდრემ.

— დაიცათ, ეს რაღა ისმის?!.—იკითხა ვალიკომ და სულთქმა შეკრულები სამთავენი სმენათ გადიქცნენ.

— ჰაი, წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩებაა... მაღლა შეკიდებით აწკრიალებდა დამწყები.

— თუ ერთმანეთს არ ვახარებთ ამის მეტი რა შეგვრჩება, ეეე... აკაკანებდა მოძახილი, რომელსაც მთქმელი მაღლიდან დაჰკიოდა, ხოლო ბანები კი დაბლიდან გუგუნებდნენ.

— ეს მაყრულია, მაყრული, ქართლელების საყვარელი სიმღერა, რომლითაც გულ-უხვი და მოსიყვარულე ქართლელი ყველას ძმობა-ერთობა-სიყვარულისაკენ მოგვიწოდებს, კვლავ განმარტა სტეფანემ.

— და, აი ამ ხალხის თავისუფლებას საფლავს უთხრიან დაშნაკელები, კვლავ ნაღვლიანად, თითქოს თავისთვის წაილაპარაკა ვალიკომ.

— განსაკუთრებით ქართლ-კახელებს შავბნელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში სისხლსა გვწოვდნენ და სულს გვიმწარებდენ ეს წურბელა დაშნაკცაკანები, რომლებიც ოვითმპყრობელ მეფის ნაცვლების შეშწეობით ჩვენს უბედურებაზე თავის ბედნიერებას აშენებდენ; და აი ახლაც ჩვენს ზურგზე დასუქებულებს კვლავ უნდათ ჩვენი გულკეთილობით და ისტორიული სტუმარ-მოყვარეობით მუხანათურად ისარგებლონ, კვლავ დაგვცენ ტ სხვის ხელით ჩვენს სამშობლოში, ჩვენსავე ოჯახში, ჩვენს ცის ქვეშ კვლავ დაგვადგან მონობის უღელი, მღელვარებით ლაპარაკობდა სტეფანე, რომელსაც სახეზე მრისხანება აღბეჭდოდა.

— ა ღი ფა შამ გვი-ღა-ლა-ტა... შორიდგან მოისმა ცქრიალა სიმღერა გურულებისა, რომლებიც წინა თხრილებში იყვნენ ჩასაფრებულნი. კრიმანჭული ბულბულისებურად ხან წკრიალებდა, ხან უშტვენდა, ხან გულის საკლავად კვნესოდა. აგუზგუზებული ბანი კი ზღვის ტალღებსავით გრგვინავდა და ადიჩადიოდა.

— ეე, ჩვენებმაც დასცხეს თავისებურათ, ღიმილით სთქვა ვალიკომ. ამ სიმღერაში კიდევ, ამხანაგო სტეფან, გურულების მუხთალი ხასიათია ჩაწნულ ჩაქსოვილი; როგორც სარკეში, მასშიც მოსჩანს გურიის და გურულების დაუდეგარი ბუნება, რომელიც განუწყვეტელი ბრძოლით არის გაკაჟებული, თავის მხრივ განუმარტა სტეფანეს ვალიკომ, როდესაც ალი-ფაშა შესწყდა და მისი გამოხმობა და ყრუთ ბრუნავდა მთის მაღალ კალთებში.

— თორმეტი საათი სრულდება; წავიდეთ, ამხანაგებს ახალი წელიწადი მიულოცოთ, სთქვა ალექსანდრემ, რომელმაც ვალიკოს მაჯაზე გაკეთებულ საათს დახედა, კეპკას დასწია და წასასვლელად წამოდგა.

— საახალწლო საჩუქრებიც წავიღოთ, სთქვა ვალიკომ, შორი-ახლო დაწყობილ ყუთებთან მივიდა, მთელი ბღუჯა საჩუქრებისა ამოიღო, ერთ ყუთიდან სინათლესთან მიიტანა და ინჯვა დაუწყო.

— გაუმარჯოს სახალხო გვარდიას, ვაჟთა ერთგული გმირობიელები.

— გილოცავთ ახალ წელიწადს, ქალთა საზოგადოება „განათლებისაგან“.

— გაუმარჯოს საქართველოს დამცველ გვარდიას და ჯარს; გაუმარჯოს თავისუფლებას, სიკვდილი მტრებს, მთავარ სახელოსნოს მუშებისაგან, რიგ-რიგათ კითხულობდა ვალიკო და ალექსანდრეს აწვდიდა.

— კმარა, ბიჭები ამოვგზავნოთ და ისინი ჩამოიტანენ, სთქვა საჩუქრებით დატვირთულმა ალექსანდრემ, რომელმაც თავ ქვე გასწია.

მას მიჰყვნენ ვალიკო და სტეფანეც საჩუქრებით ხელში.

ჰაერში კი კვლავ გუგუნებდა თფილისის გვარდიელების ხმა: „მეგობრებო, წინ წინ გასწით“...

— ამხანაგო გვარდიელებო, მოგვილოცავს ახალი წელიწადი და გისურვებთ გამარჯვებას, მისვლისთანავე შესძახა ვალიკომ და პირველ შემხვდარ გვარდიელს გადაეხვია.

— გაუმარჯოს თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს, შესძახა ალექსანდრემ და ისიც გადაეხვია მებრძოლებს.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს გრგვინავდა ათრილებიდან რაზმი.

— გაუმარჯოს პროლეტარიატს, შესძახა ალექსანდრემაც, რომელიც ვალიკო და სტეფანესთან ერთად სანგრებში ჩამხტარიყო და ბრიგადით ეხვეოდა მებრძოლებს.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს, კვლავ ჰქუხდა მებრძოლთა გაერთიანებული ხმა.

— აბა, სროლით გავისტუმროთ ძველი და შეეხვდეთ ახალ წელიწადს, დაიყვირა ალტაცებულმა ვალიკომ, რაც ზოჭყვა ზარბაზნებისა და თოფების გრიალი.

— მოკვდი მტერო, გაიხარე საქართველოს ჭერო, დაიძახა ერთმა გვარდიელთაგანმა.

ზარბაზნების ყრუ გამოხმობა და გუგუნი ჯერ არ შეწყვეტილიყო, რომ შორი-ახლოდან მოულოდნელათ მოისმა მტრის ზარბაზნების და თოფების ხმა, რომლებიც წინ მოიწევდნენ და თითქმის ყოველი მხრიდან ესროდნენ ჩვენებს.

— ჰაი, თქვე საზიზღარო მუხანათებო; ავი კაცი აღდგომასაც ავია და ახალ წელიწადსაც; აბა, ბიჭებო, დაჰკათ, დაჰკათ.

ზარბაზნები გრგვინავდნენ, ტყვიის მტყორცნელები კაკანებდნენ, მებრძოლები ყიჟინას სცემდნენ; და ყველაფერი ეს ერთი-მეორეში არეული ხიდამოს აჯოჯოხეთებდა.

— დაჰკათ, დაჰკათ, ამხანაგებო, ხმაწასული კვლავ ყიოდა ვალიკო, წინა წყებაში ცეცხლის მფრქვევ გვარდიელებით გარს შემორტყმული.

ის იყო ირაკლიანი, რომ მტერი შედრკა და პირი იბრუნა.

— ურაა, ვაშაა!.. ყვიროდნენ გვარდიელები, რომლებიც გაქცეულებს ფეხდაფეხ მისდევდნენ.

— ურაა, ვაშაა!.. იმეორებდნენ სასიკვდილოთ დაჭრილი გვარდიელებიც, რომლებიც თოვლზე უმწეოთ ეყარნენ.

— დაჰკათ, დაჰკათ, შორიდან ისმოდა ვალიკოს ხმა.

— დაჰკა, დაჰკა... იმეორებდნენ სისხლში მოსვრილი გვარდიელები, რომლებიც თოვლიდან ადგომას ამაოთ ცდილობდნენ.

— თავისუფალ საქართველოს დემოკრატიას გაუმარჯოს! შორიდან მოისმოდა გამარჯვებულთა ყიჟინა.

— საქართველოს დემოკრატიას გაუმარჯოს, კვნესის ნაცვლათ კვლავ გაისმოდა მომაკვდავი გვარდიელების ხმაც, რომლების სახეებზედაც განთიადის ნეტარი, ნაზი სხივი და ციური ღიმილი ათრთოლებულიყო...

მეც ცხად სიზმრის შემდეგ თვალებს ვაჭყეტდი. ს. პართენაშვილი.

გერმანიის დელეგაციის ცნობები

თფილისი, 31 დეკემბერი.

მოვიდა დაწვრილებითი ცნობები ბერლინში 24 დეკემბერს შეტაკების შესახებ. მეზღვაურებს დაეკავებიათ საიმპერატორო სასახლე და თავლაში გამაგრებულიყვენ. თავლას 4 ჯერ ესროლეს ზარბაზანი. მეზღვაურებს 80 კაცი მოუკლეს და განდევნეს სასახლიდან. ბრძოლა გაგრძელდა 25 და 26 დეკემბერსაც, რასაც შედეგათ მოჰყვა შეთანხმება. პრესა და საზოგადოება მოითხოვს რეპრესიებს და ენერგიული ზომების მიღებას ბალშევიკების წინააღმდეგ. ცნობაა, რომ ჰინდენბურგი მთელი კორპუსით მიდის ბერლინში, რომ მომავალში ასეთი გამოსვლები არ განმეორდეს. პროვ-ცია ენერგიულ ზომებს მოითხოვს მათ წინააღმდეგ. მუშათა კლასი მთავრობას ეჭერს მხარს.

გემი „ვარნა“ ფოთში დარჩა. გერმანიის სხვა ტრანსპორტები სდგას ნიკოლაიევში, სევასტოპოლში და ადესაში. შეძლება არა აჭვთ უკრაინაზე წავიდენ, რადგანაც იქ სამოქალაქო ომი მძვინვარებს. აღძრულია შეამდგომლობა, რომ ჯარები ხმელთაშუა ზღვით წავიდენ გერმანიაში.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა საგენტო).

31 დეკემბერი.

გერმანული პრესის ცნობები.

პოზნანში, 27 დეკემბერს, შუადღისას გერმანელებსა და პოლონელებს შორის შეტაკება მოხდა, რომელმაც საღამომდინ გასტანა. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ მოსულა.

უკანასკნელ ცნობების თანახმად ნეიტრალურ სახელმწიფოთ არ დაუშვებენ საზავო კონფერენციაზე. მათ უარყოფითათ იქცევიან, რადგან მოთხოვნილებანი წამოაყენეს მებრძოლ სახელმწიფოების მიმართ. მაგრამ ნეიტრალურ სახელმწიფოთ ნება დართეს მონაწილეობა მიიღონ ხალხთა ლიგის საკითხის გარჩევის დროს, რომელიც ზავის ხელშეკრულების შემდეგ იქნება განხილული.

სახალხო რწმუნებულთა და გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრალური საბჭოს თათბირის შემდეგ საბჭოდან გამოვიდნენ სახალხო რწმუნებული და სამი დამოუკიდებელი სოციალდემოკრატი: ჰაასი, დიტმანი და ბარტი. ეს გადაწყვეტილება გვიან ღამე მოხდა, მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა კომიტეტმა სახალხო რწმუნებულებთან დიდხანს იმსჯელა და განსაკუთრებითი სხდომა მოხდა ცენტრალური საბჭოსი. ცალკე შეიკრიბნენ სახალხო რწმუნებულებიც, მაგრამ ვერც ერთ სადღეისო მთავარ საკითხში ვერ შეთანხმდნენ სოციალდემოკრატ უმრავლესობასთან და დამოუკიდებლებთან.

არ ვემდური

არა, ძველ წელს არ ვემდური,
ია ვარდით ვუმკობ სავალს,
და ახალსაც სიხარულით
ვეგებები, ჩვენსკენ მავალს!

——

ჩვენი ქვეყნის მომავალი,
ჩვენი ერის ბედისწერა,—
მის ქუჩაში გაფოლადდა
და მის გრდემლზე გაიკვერა!

——

არა, ძველ წელს არ ვემდური,
ია ვარდით ვუმკობ სავალს,
და ახალსაც სიხარულით
ვეგებები ჩვენსკენ მავალს!

ვ. რუხაძე.

გილოცავთ!

ახალსა წელსა,
თუ ძველებრ მწველსა,
არ მოგილოცავთ,
და არც ვილოცავთ;
ახალსა წელსა
შვების მომგვრელსა,
მშვიდობის მთესველს,
ერთობის მცველსა,—
დავეძებ, ველი...
კრულ იყოს ძველი...
და ახლის მზესა,
ტრფობის ფრქვეველსა
გილოცავთ ყველას:
შინ, ბრძოლის ველსა,
დიდსა, პატარას,
ღარიბ—ობლებსა...
გილოცავთ იმედს,
გილოცავთ რწმენას;
გისურვებთ ტკბილ ბედს,
და აღმაფრენას...
გილოცავთ სიმხნეს,
გილოცავთ მკლავსა,
გილოცავთ სიბრძნეს
და შომავალსა!

დ. მეჩონგური.

ბერლინის გაზეთების ცნობით, სამი მთავარი საკითხია: 1) როგორ უყურებს ცენტრალური საბჭო იმ ზომებს, რომელიც მიიღო 23 და 24 დეკემბერს სოციალდემოკრატ უმრავლესობის წარმომადგენლებმა, სახალხო რწმუნებულების საბჭოს წევრებმა, 2) როგორ შეხვდა ცენტრალური საბჭო საბჭოთა კონგრესის გადაწყვეტილებებს ოფიცერთა საკითხის და ხარისხთა გარჩევის საკითხს, 3) ცენტრალური საბჭოს აზრი მთავრობის სხვა ადგილას გადაყვანის საკითხზე, ამ საკითხის უკან სდგას, პოლიტიკურ წრეების ხელმძღვანელთა აზრით, კარდინალური საკითხი ბალშევიკების და სპარტაკის პარტიის მისწრაფებებისადმი დამოკიდებულების შესახებ. აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა მთავრობას, მის განკარგულებაში მყოფი შეიარაღებული ძალა მოიხმაროს მოულოდნელ ამბოხებათა წინააღმდეგ. მთავრობა აქამდე იმ აზრისა იყო, რომ ხალხს არ უნდა ესროლონ; ამ აზრს იზიარებდა აგრეთვე საზოგადოების ზოგიერთი წრეები. პრესის და სხვათა შორის გაზ. „ფორვერტს“-ის აზრით ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია: ამ აზრს არ იზიარებენ მხოლოდ გაზეთები „თავისუფლება“ და „წითელი დროშა“. საზოგადოებრივი აზრი მთავრობისგან მოითხოვს ენერგიულ მოქმედებას და გარკვეულ პოლიტიკის წარმოებას. გაზ. „ფორვერტს“-ის კვირის ნომრის მეთაური შემდეგი სიტყვებით თავდება: „ფრანგები 2 წლით სამუშაოზე გაყვანით ემუქრებიან საწყალ ჩვენ სამხედრო ტყვეებს, რომელთაც მოუთმენლათ ველით. პოზნანი უკვე დაკარგულია, დანციგს საფრთხე მოელის; ჩვენ ვერ შევძლებთ ოდნავ დამაკმაყოფილებელ ზავის შეკვრასაც კი, რადგანაც ძალა აღარ შეგვწევს ასეთი ზავის შესაკვრელათ, რადგან სახელმწიფოში დიდი არეულობაა. ჩვენ გვინდა დავეხმაროთ სახელმწიფო პარლამენტსა, ცენტრალურ საბჭოსა და სახალხო რწმუნებულთა საბჭოში მყოფ ჩვენ ამხანაგებს, გავანთავისუფლოთ, როგორც თქვენი ისე ჩვენი თავი გარეშე საფრთხისგან, ჩვენ აღარ ძალგვიძს ავიტანოთ ახლანდელი მდგომარეობა.

ოფიციალურ ცნობებით ზემო შლეზვიგის ქვანახშირის რაიონში ისევ გამწვავდა მდგომარეობა. მუშაობა შესწყდა. მეფობს ანარქია და ბალშევიზმი. 28 დეკემბერს გედვისგსვუმის, ლიუდვიგსლიუკის, კასტელენგოს, ბრანდენბურგის, ფრიდენსგრუბეს და პრუსიის მაღაროების მუშები ისევ გაიფიცენ. როგორც იუწყებიან შლეზვიგის მაღაროების მუშებმა იერიშით აიღეს გამგეს ბინა. შეიპყრეს დირექტორი დრეშენი, ინსპექტორი ლიუკი და ძალით წაიყვანეს სამიკიტნოში. იქ ისინი დასდვეს მაგიდაზე და სიკვდილის დამუქრებით მოსთხოვეს მათ მთავარ მოთხოვნილებათა დაუყოვნებლივი დაკმაყოფილება. სხვათა შორის მოითხოვდნენ 800 მარკა მიეცათ დათხოვნილ მუშებისთვის. თუ ეს მოთხოვნილება

ბაზ. „ერთობის“ რედაქცია და კანტორა

გადავიდა ახალ გინაზე

გოლოვინის პროსპ. სახლი არაფელოვისა, № 24, შუა სართული.

დააკმაყოფილეს, შლეზვიგის სამრეწველომ უნდა დახარჯოს ზედმეტი 80 მილიონი მარკა მუშები ყვირილით ესალმებოდნენ ლიბკნეხტს და როზა ლიუქსემბურგს. დონერსმარკის მაღაროშიც გამგენი იძულებულნი იყვნენ დაეკმაყოფილებიათ მუშები.

ფრანგული პრესის ცნობები.

მდგომარეობა ბერლინში: ციფრიხიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ბერლინში მდგომარეობა ისევ რთულია. ებერტის მთავრობა ჯერ ისევ არსებობს, თუმცა სპარტაკელებმა მანიფესტით ლიბკნეხტის მთავრობა გამოცხადეს სპარტაკლების წინააღმდეგ უკმაყოფილება იზრდება ზომიერ ელემენტებსა და მთავრობის ერთგულ ჯარში, რომელთაც სურთ დახოცილ ამხანაგების სამაგიეროს გადახდა, მაგრამ მთავრობას არ შეუძლია რეპრესიების პასუხისმგებლობა იკისროს. მას უნდა ეს პასუხისმგებლობა გინდენბურგს დააკისროს, რომელიც საარმიო კორპუსს ბერლინში გზავნის. ბერლინის ქარხნებში მუშაობა შესწყდა. შაბათს სპარტაკელებსა და მთავრობის ერთგულ ათასამდე მოქალაქეთა შორის შეტაკება მოხდა.

სპარტაკელებმა გაიმარჯვეს, რადგან მოქალაქენი უიარაღოთ იყვნენ. ბერლინი სრულიად მოწყვეტილია დანარჩენ გერმანიას. ლიბკნეხტს, რომელსაც ტელეგრაფი ხელთ ჩაუვარდა მოსკოვთან და პეტროგრადთან აქვს კავშირი.

ომსკიდან იუწყებიან, რომ ჰერშის აღება რუსის ჯარის მიერ დიდ გამარჯვებას ნიშნავს. მათ წამოიყვანეს თვრამეტი ათასი ტყვე, ხელთ იგდეს სამოცი ზარბაზანი, მრავალი მასალა, ტყვიის მფრქვეველები და ოთხი ათასი ვაგონი.

ვენე ნიკურაძე

ამხ. ვენე ნიკურაძე იყო ს კულაშიდან (სამტრედიის რაიონი). სწავლა ქ. თფილისის სამიწად-მზომლო სასწავლებელში მიიღო, რომელიც გაათავა 1914 წ. სკოლაში ყოფნის დროს მარქსისტულ წრეებში ბევრს მუშაობდა.

სასწავლებლის გათავების შემდეგ მალე ჯარში გაიწვიეს და იქაც შესაძლებლობის ფარგლებში იდეურ მუშაობას აწარმოებდა ჯარისკაცებში.

რევოლიუციის დროს თფ. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ გაგზავნა ფრონტზე აგიტატორად.

ფრონტის დაშლის შემდეგ „ერთობის“ რედაქციაში გადმოვიდა მუდმივ თანამშრომელად. უკანასკნელ დრომდე ბევრს მუშაობდა თფილისის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში. არჩეულ იქნა 1918 წ. იანვარში ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგ. კონფერენციაზე ცენტრალურ კომიტეტში. მუშაობდა, როგორც ეურნ. „ახალი კვალის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. 1918 წ. აპრილში ავადმყოფობამ დასჯაბნა და იძულებული იყო ჯერ ბორჯომ-აბასთუმანში და შედეგ სოხუმში ეწამლა. მაგრამ ულმობელმა სენმა მაინც თავისი გაიტანა და 25 დეკემბერს ქ. სოხუმში, გამოასალმა წუთი სოფელა.

——

ცხარე ცრემლებით დავსტირით ძვირფასი ამხანაგის ვენეს უდროოთ გაცვლებულს ცხედარს. აღარა გვყავს ჩვენი ვენე, შესანიშნავი ენერგიის და ნიჭის პატრონი. მშვიდობა ამხანაგო, შენი სახელი დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის.

ამ.-კავ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის **ცენტრალური კომიტეტი.**

——

ეკატერინოსელი. ფრონტზე მომქმედი სამტრედიის გვარდია გუ დათუთქული დასტირის ამხანაგ ვენე ნიკურაძის ცხედარს.

გვარდიის ხელმძღვანელი **სიმონ სულაბერიძე.**

ახალი ამბები

მხატვრული საღამო. დღეს, პირველ იანვარს, სახელმწიფო თეატრში ჩვენი მხედრობის პატივსაცემად და სასარგებლოთ გაიმართება დიდი მხატვრული საღამო. ალ. წუწუნავას რეჟისორობით დაიდგმება „პირიმზე“ (კეთილ და ბოროტ სულთა ბრძოლა) მუსიკალური ლეგენდა კ. ფოცხვერაშვილისა. მეორე განყოფილებაში გაძლიერებული სიმფონიური ორკესტრი არაყიშვილის და ფალიაშვილის ხელმძღვანელობით შეასრულებს სხვადასხვა ნომრებს ქართულ ოპერებიდან; ამავე განყოფილებაში იმღერებენ სახელმწიფო თეატრის საუკეთესო არტისტები ქ-ნი ხაბანეევისა, შულგინისა, ხორინა, ბ-ნნი სარაჯიშვილი, ინაშვილი, პოლიაკოვი და სხვანი. მესამე განყოფილებაში დაიდგმება ბალეტი საუკეთესო ძალებით და რჩეული ანსამბლით. დასაწყისი საღამოს შვიდ საათზე. კანტორამარკები და უფასო ბილეთები ამ დღეს არ გამოდგებიან.

შუალაერთან ბრძოლის დროს მოკლული სახალხო გვარდიელების ლეონტი მეტრეველის და ალექსანდრე სირაძის ცხედრები გასვენებული იქნება თფილისიდან ხაშურში. 31 დეკემბერს მე-23 ნომრის მატარებლით, რომელიც ხაშურში იქნება 1 იანვარს (ახალი სტილით) დღის 11 საათზე.

ნავთი. ამ დღეებში საქართველოს მთავრობამ ხელშეკრულობა დასდო ადერბეიჯანის მთავრობასთან საქართველოსთვის ნავთეულობის შეძენის შესახებ. ხელშეკრულობას ბაქოში საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა მოაწერა ხელი.

ინგლისის მისიის მგზავრობა. გზათა სამინისტრო შეეკითხა გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ რკინის გზაზე ინგლისელების მისიის მგზავრობის დროს ბილეთების ფასი გადაანდგინონ სამხედრო, თუ ჩვეულებრივი ტარიფით.

მთავრობაში. უკანასკნელ სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: გაეხსნას გზათა მინისტრს ათ-მილიონიან ფონდიდან შესაფერი კრედიტი დაღუპულ ინჟენერთა პოპესა და ანაშიძის ოჯახთათვის ერთდროული დახმარების აღმოსაჩენად.

სტუდიის წარმოდგენა. ხვალ, ხუთშაბათს, არტისტ. სახ. თეატრში ქართული სტუდიის მიერ ქართველ მეომართა საშობაო საჩუქრებისათვის წარმოდგენილი იქნება სუმბათაშვილის „ლალატი“. დასაწყისი აუცილებლად 7 ს.

სომხურ საბჭოს დელეგაცია. გუშინ, 1 საათზე სომხური ეროვნული საბჭოს დელეგაცია წარუდგა მთავრობის თავმჯდომარეს და ჰკონდა მასთან ხანგრძლივი ბაასი ქალაქში მოსახდარ ამბების გამო დატუსაღების შესახებ და სხ. მთავრობის თავმჯდომარე დაჰპირდა, რომ ინოვეთარი შეეწყვეტება არ იქნება მიყენებული სომხურ ეროვნულ საბჭოსადმი და ლტოლვილთა ორგანიზაციებს შეუძლიათ განაგრძონ თავისი მუშაობა.

სახალხო გვარდიის შტაბას კასაში შეტანილია ამხანაგ ა. ხელაძის მიერ სახალხო გვარდიელთა სასარგებლოთ—სეილანოვის თუთუნის ქარხნის მუშებისაგან 780 მანეთი, ხოლო საფაროვის მუშებისაგან 213 მან.

სამხედრო ტყვეების ჩამოსვლა ავსტრია გერმანიიდან. 29 დეკემბერს ავსტრია-გერმანიიდან ფოთში ჩამოვიდა 800 ქართველი ტყვე ჯარისკაცი. ადგილში თავმოყრილია ამ ეამათ 2,000 მდე ქართველი სამხედრო ტყვე, რომელთაც არავითარი საშუალება არ მოგვეპოვებათ სამშობლოში წამოსასვლელად. ბევრი ტყვეებია თავმოყრილი აგრეთვე სევასტოპოლში, ნოვოროსიიაში და სხვაგან, საიდანაც მათ არ უშვებენ სამშობლოში მოხალისეთა ჯარები. ტყვეები მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან.

დუშეთის მაზრიდან 31 დეკემბერს ჩამოვიდა სახალხო გვარდიის ასი კაცისაგან შემდგარი ტატა შუშიაშვილის და ირაკლი ურუშაძის მეთაურობით. სასახლესთან მათ მთავარი შტაბის სახელით მიმართა ამხ. დ. საღირაშვილმა. საპასუხო სიტყვა სთქვა ტ. შუშიაშვილმა.

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ.

ხუთშაბათს, 2 იანვარს, საღ. 5 საათზე მეოთხე რაიონის ბიუროს ახალ ბინაზე (ოლგის ქ. № 29) დანიშნულია ამავე რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— ხუთშაბათს, 2 იანვარს, საღ. 6 საათზე, წ. კ. გ. ს. კანცელარიაში დანიშნულია ხსენებული საზ. გამგეობის მიერ მოწვეულ კრიტიკოსთა და ლიტერატორთა კრება მუდმივი კომისიის ასარჩევად და კომისიის საშოქმედო გეგმის შესადგენად.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲐ

(ქართულ ლატარიის მომწყობ საბჭოსა და გამგეობის განცხადება).

ქართულ ლატარიის მომწყობი საბჭო და გამგეობა ამით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ლატარიის გათამაშება დანიშნულ ვადაზე ვერ მოხერხდა. სათანადო მთავრობამ ბილეთების გასადგმელათვის საბჭოს ერთი წლის ვადა მისცა. მაგრამ, სამწუხაროდ, ომის, გაფიცვების და სხვა ხელშემშლელ პირობების გამო, შეფერხდა თვით ბილეთების დამზადების საქმე იმდენად, რომ ბილეთები დამზადდა მხოლოდ ენკენისთვეში და, ამ რიგად, მათი გასაღებისათვის დარჩა მხოლოდ სამი თვის ვადა (ოქტომბერი—დეკემბერი) ნაცვლად ერთის წლისა.

მიუხედავად ენერგიულ ზომებისა, ამ სამი თვის განმავლობაში, გამგეობამ ვერ მოახერხა ბილეთების გავიდვა და საჭირო თანხის (ხუთი მილიონის) შეგროვება. საზოგადოება ყველგან, საქართველოში, დიდის თანაგრძნობით მიეგება ლატარიის საქმეს და, უეჭველია, ჩვენი უნივერსიტეტის და თეატრის უბრუნველსაყოფი ფონდი შეიკრიფება, თუ ბილეთების გასასყიდათ საკმაო დრო იქმნა.

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ლატარიის მომწყობ გამგეობას მოუვიდა ბევრი შეაწუხებელი მობრძანება პროვინციის ადგილობრივ კომიტეტებისაგან, გადაიდვას ლატარიის გათამაშების ვადა, რათა შეძლება მოგვეცეს გზაფხულზე სოფლებიც გავიდეთ და ფართო მასაშიც გავავრცელოთ ბილეთები.

ყველა ზემოხსენებულ მიზეზებისა გამო, ქართულ ლატარიის მომწყობ საბჭოსა და მთავარ კომიტეტის შეერთებულმა სხდომამ, პროფ. ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით, გადასწყვიტა შეაწუხებელ მობრძანება აღძრას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, რომ ლატარიის გათამაშების ვადა გადადებულ იქმნას ზომავად წლას 1-ლ მაისამდე. 22 დეკემბერს საბჭომ უკვე მიიღო სათანადო შეწყობებისაგან ეს ნებართვა.

აცხადებს რა ამას საყოველთაო საცნობად, ლატარიის მომწყობი საბჭო და გამგეობა სრულს იმედს გამოსთქვამენ, რომ ის საზოგადოებრივი დაწესებულებანი, ადგილობრივი კომიტეტები და პირნი, რომელნიც მხურვალედ მუშაობდნენ, რათა დიდი მიზანი ლატარიისა კეთილად დაგვირგვინებულიყო, შემდგომშიაც ენერგიულად განაგრძობენ თავის მუშაობას ჩვენი ქვეყანისთვის დიდმნიშვნელოვან საქმის სასურველად დამთავრებისათვის.

ქართულ ლატარიის საბჭოს თავმჯდ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი;
გამგეობის თავმჯდომარე გ. ლახნიშვილი;
გამგე - დირექტორი ხოდ. ახვლედიანი.

ᲪᲧᲕᲔᲓ ᲬᲐᲣᲕᲐᲜᲘᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲭᲠᲘᲚ-ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲜᲘ

ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲔᲑᲘ.

მოგვივიდა სიტ იმ ტყვე მხედრებისა, რომლებიც ამ ქამათ ხიმხეთში იმყოფებიან ტყვედ: აქვსენტი პაპავა, რომ. ვაშაკიძე, ალექსანდრე კობერიძე, მიტრ. ახვლედიანი, გრ. ახობაძე, დიმ. ლოლუა, ალექსი კოსლოვ, მიხ. შავლაკაძე, კალენ. ვარდოსანიძე, ამბერკი ბაბლიძე, გიორგი ჩუბინიძე, მიხაილ ოჰანეზოვი, კოტე კვანტალიანი, მათ. ბეგდარიანი, შაქრო ადოლაშვილი, ალექსანდრე პაპაშვილი, ივან შურავსკი, აკაკი შანგარიძე, ივანე და ირაკლი მოისწრაფეშვილი, ნიკ. სირაძე, ვარლამ შავგირაძე, ირაკლი რუსეიშვილი, აკაკი შუბლაძე, სამუელ შუბლეგიანი.

19 დეკემბერს ეკატერინოფელთან ბრძოლაში პირველი სამთო ბატარეიის სახალხო გვარდიის შემდეგი პირნი, დახოცილნი: სილვენ გოგიჩაიშვილი, ორი ძმანი ბლატონ და სტეფანე სარიშვილები, დანიელ ვაჩეიშვილი. დაჭრილები: პლატონ გუჯაბიძე, შელგნტი შუბაშვილი, ალექსანდრე გვარჯალაძე, ვარლამ თურქია, აკაკი სანაძე, პეტრე პატარაია, ალექსანდრე ჯალოდონია, ოლიფანტე ნადარაია, გალაქტიონ გიორგაძე და მინა შაგლაძე. უკანასკნელი ხუთი უკვე გამოეწერენ ლაზარეთიდან და გაემგზავრენ ფრონტზე; დაკარგულები: აქვსენტი პაპავა, ალექსანდრე კობერიძე და რომან ვაშალომიძე. ესენი ტყვეთ ყოფილან წაყვანილი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტში შემოვიდა შემოწირულება ფულათ: 1) თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიის მასწავლებელთა და მოწაფეთაგან —1161 მან, 2) გრიშა გოგოტიშვილისგან—50 მ., 3) თფილისის საშუალო, კულტურტეხნიკურ მასწავლებლების, მოწაფეთა ჯგუფისაგან—56 მან., 4) ვაეთა I გიმნაზიის უფროს განყოფილების მოწაფეთაგან 171 მან., ვაეთა I გიმნაზიის მოწაფეთაგან 14 მან., ვაეთა I გიმნაზიის მოწაფეთაგან—105 მან., და 2 კლ. მასწავლებელთაგან 669 მან., 5) ბ. ხოშტარიას საპნის ქარხანაში მოსამსახურეთა შორის შეკრებილი 284 მ., 6) ქართველ ქალთა ჭრა-კერვის სკოლის მასწავლებელთა და მოწაფეთაგან 200 მან., 7) თომა იოსების ძე ჯღამაძისაგან—50 მ., 8) კაპიტან გიორგაძისაგან და ვლადიმერ ლომინაძისაგან, თფილისის ვაჭართა შორის შეგროვილი—8486 მ., (რვა ათას ოთხას ოთხმოცდა ექვსი მან.), 9) თეოდორე ცხომელიძისაგან—50 მ., 10) ხაშურის ქალაქის თვითმართველობასთან არსებულ „ფრონტის დამხმარე კომიტეტისაგან“ —6000 მან., (ექვსი ათასი), 11) ნინო აბაიშვილისაგან—10 მან., 12) ეკატერინე ელიავასაგან 30 მან., 13) ილია დიმიტრის ძე ბეგთაბეგოვისაგან—სამასი (300) მან., 14) ივანე დავითის ძე ბაბალაშვილისაგან 10 მან., 15) ვაეთა მე II გიმნაზიისგან—530 მან., მოწაფეთაგან 214 მან. და 43 კ. 16) ქალთა მე VI გიმნაზიისგან—მასწავლებელთაგან, მოწაფეთაგან და შშობელთა წრისაგან—1122 მან., (ათას ას ოცდა ორი მან.) და 83 კ. 17) ნიკოლოზ შარაშიძისაგან ბატონი გერმანოვიჩის შემოწირული 500 მ., 18) ნიკოლოზ შარაშიძისგან, საავტომობილო სახელოსნოში შეგროვილი 415 მან., 19) მარიკო ბერიძისაგან ასი მანეთი (100).

შემომწირველთ უღრმეს მადლობას უცხადებს **დამხმარე კომიტეტი.**

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲞᲐᲠᲘᲙᲛᲐᲮᲔᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ. თფ. პარიკმახერთა პროფესიონალური კავშირის არსებობა ფიქტიურია, წევრები მეტათ გულგრილათ ეკიდებიან საქმეს. საჭიროა იმ ორიოდე მოწინავე ამხანაგებმა, რომლებიც საბედნიეროთ ამ დარგის მუშებშიაც მოიპოვებიან, მეტი ენერგიით მოკიდონ საქმეს ხელი, წინააღმდეგ შემთხვევაში კავშირს ცუდი ბოლო მოელის.

საჯაილდებულო დადგენილებით არავის არ აქვს უფლება განსაზღვრულ დროს შემდეგ „ვიზიტებზე“ სიარულისა. დადგენილების შერავდესობა არ ვმორჩილებ. **რიხსა.**

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ რაიონის მუშათა საბჭომ დეკემბრის სხდომაზე იქონია რა მსჯელობა სოფლეთის საზღვარზე მომხდარი ამბების გამო გაზოლიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ვესწროთ რა ჩვენი დამოკრატიული მთავრობის დადგენილებას, მიუხედავათ იმისა, რომ ყოველივე ზომები იყო მიღებული მშვიდობიანათ და მორიგებით გადაჭრილიყო სადავო კითხვები, რომ ორ ერს შორის სისხლი არ დადვრილიყო, ვერ გასჭრა ყოველივე ამ ზომებმა და გაამარჯვა დროებით გრეგნის შოვინისტურმა მიმდინარეობამ და ჩვენ მოწამენი შეეჭენით უმანკო სისხლის დადვრისა, ამიტომ ჩვენ ვიწონებთ ჩვენი დემოკრატიული მთავრობის ნაბიჯებს და მზათ ვართ პირველ მის დაძახილზე, იარაღით ხელში, დავიცვათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია, როგორც გარეშე მტრის შეხანათური თავდასხმისაგან, ისე შინაური ანარქიისაგან“.

Ს.-ᲓᲔᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ. 26 დეკემბერს შესდგა მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. განსახილველი იყო: მოხსენება ადგილებიდან, პარტიული მუშაობა, საზოგადო კრება, დამფუძნებელი კრების ფონდი, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები, საზოგადო კრება. კრებამ მოისმინა ადგილებიდან მოხსენებები. გამოირკვა, რომ სულიერი განწყობილება მუშებში კარგია. ხშირად იმართება მასსიური კრებები საქართველოსა და სომხეთს შორის ატეხილ ომის შესახებ, არკვევენ ამ საკითხს და ნდობას უცხადებენ ჩვენს მთავრობას. მოხსენიელ იქნა აგრეთვე მოკავშირე სახელმწ. დიპლომატიის თფილისში ჩამოსვლისა და მათი მიზნის შესახებ მოხსენება და აგრეთვე ქალაქის საბჭოს ხმოსანთა 1919 წ. 1 იანვრის რწმუნების ვადის გათავებისა და ახალ საარჩევნო სიების შედგენის შესახებ. დადგენილ იქნა: სიების სრულ და სწორ შედგენისათვის ამხანაგები შეეცადონ ყოველ მხრივ ხელი შეუწყონ ამწერლებს. მიიღონ მხურვალე მონაწილეობა და თვალ ყური ადევნონ ამწერლებს. ვინაიდან დღეს პარტიული მუშაობის გაძლიერება უფრო საჭიროა, კრება მთელ თავის ყურადღებას ამას აქცევს და მოუწოდებს ამხანაგებს მუშაობისაკენ. დამფუძნებელ კრების ფონდის შესახებ კრება ავალებს ამხანაგებს შეეცადონ გაატარონ ცხოვრებაში ყრილობის დადგენილება ერთი დღის ხელფასის გამოღებისა ჩვენი ამხანაგების მიერ ფონდის გასაძლიერებლათ.

თედ. ხუხუნაიშვილი.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

გთხოვთ დამიბეჭდოთ შემდეგი: ხაშურის სახალხო გვარდიელები, რომელნაც გავემგზავრეთ შელავერის ფრონტზე, 17 დეკემბ. დავკარგე საფულე. შიგ იყო ას სამოცი თუმანი. (1600 მ.) და ფულის კვიტანციები ას ორმოცი თუმნისა (1400 მ.), სალდათობის თავისუფლების ქალალდი, რევოლვერის ნებართვა, სლუსტროების ატესტატი და გზის ნაყიდობის ქალალდი. მპოვნელს ვსთხოვ ეს ქალალდები გამომიგზავნოს და ფული კი დაიტოვოს. მისამართი: ხაშურის სახალხო გვარდიის შტაბში, **იხაკ დავითის ძე მინაძე.**

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲒᲐᲮᲜᲘᲚᲘᲐ

ᲞᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

მუდმივი საწოლებით.

მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914“ და „606“ შეშბაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ᲔᲥᲘᲛᲘ Მ. Ა. ᲨᲐᲨᲕᲐᲜᲘ.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშბაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კერძოობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლლას ქ. № 33.

ᲗᲐᲘᲡᲜᲐ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲝᲗᲘ

(მუდმივი საწოლებით)

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲓᲝᲜᲜᲮᲘᲜᲘᲡᲐ

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ᲛᲫᲘᲛᲔ Დ. Ი. ᲯᲐᲒᲨᲐᲠᲘᲫᲔ

მიიღებს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7. მიხეილოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲮᲐᲔᲙᲘᲛᲝ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲔᲓᲝᲠᲔ ᲡᲐᲣᲤᲐᲠᲒᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐ

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალაუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ᲛᲔᲓ. ᲥᲐᲚᲗᲘ Ა. Ბ. ᲨᲘᲨᲚᲝ-ᲡᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სიბავშვო, სიბერე და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმონიანის ბაღის გვერდით.

რენგტენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.

წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენგტენის კაბინეტის ყოფილი გამგე

დოქტორ ა. ᲒᲐᲛ. ᲚᲔᲕᲘᲜᲗᲝᲜᲘᲡᲐ.

რენგტენო-ფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა. სპეციალური რენგტენო-დიაგნოსტიკა გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ბაჭების ავადმყოფობისა. ელექტრო მკურნალობა და მეხანო ტერაპია. მიღება დილის 10 ნახ.—1 საათ. და საღ. 4—7 საათ. მისამართი: კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

Ა. Ნ. ᲨᲐᲢᲘᲚᲝᲕᲘ

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონკოვის ხიდის ახლო).

ᲘᲥᲘᲛᲘ

ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფებს (914, 606 შეშბაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ. ტელ. 14—28.

რენტგენის და ელექტრ. სამკურნალო ინსტიტუტი მედიცინის დოქტორ

Გ. ᲛᲔᲠᲐᲒᲝᲕᲘᲡᲐ

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა. მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფოლტვების, ბრონქის ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულისა, კუჭისა და ბაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფიაჩაწერით. ფასები ადვილია. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ᲮᲐᲤᲣᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ოპერა ს. ი. ევლახოვის ხელმძღვანელობით

ოთხშაბათი, 1 იანვარი 1919 წ.	დილით	კატა, თხა, ცხვარი.
	საღამოს	„მხატვრული საღამო“.
ხუთშაბათი 2 იანვარი	დილით	„პიკოვაია დამა“
	საღამოს	„რიგოლეტო“.
შაბათი 4 იანვარი	დილით	მშვიდი თიკანა, წითელი ქუდი.
	საღამოს	„გოფმანის ზღაპრები“.
კვირას, 5 იანვარი	დილით	„პაიაცი“.
	საღამოს	„გუგენოტები“.
სამშაბათს, 7 იანვარი	დილით	„ევგენი ონეგინი“.
	საღამოს	„ნერონი“.
ოთხშაბათს, 8 იანვარი	დილით	„ალი“ (რუსალკა).
	საღამოს	„რომეო და ჯულიეტა“.
ხუთშაბათს, 9 იანვარი	დილით	„კარმენი“.
	საღამოს	„უიდოვკა“.
შაბათს, 11 იანვარი		„ფაუსტი“.

ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ხუთშაბათს, 2 იანვარს 1919 წ.

ქართული სტუდიის მიერ ქართველ მეომართა საშობაო საჩუქრებისათვის წარმოდგენილი იქმნება ალ. სუმბათაშვილის

ᲦᲐᲚᲐᲢᲘ

5 მოქ.

ადმინისტრატორი მიხ. ხერხეულიძე. რეჟისორები ზ. ბერიშვილი, გ. ჯაბადარი.

დასაწყისი აუცილებლად 7 ს.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ოთხშაბათს, 1 იანვარს, საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტის და სახელმწიფო თეატრის თანხმობით სამშობლოს დამცველ მეომართა პატივსაცემათ და სასარგებლოთ გადმართავდა

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲮᲘᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

შინაარსი პირიმზე, ხამსუსიკო ლეგენდა ბალეტით (კეთილათ ბოროტ სულთა ბრძოლა) 1 მოქმ. კ. ფოცხვერაშვილისა. ხამფანიური და ხასიმღერო განყოფილება ქართველ მუსიკოსთა ნაწარმოებთაგან. ბალეტი სახელმწიფო თეატრის რჩეულ მოცეკვავეთა ანსამბლით. მონაწილეობას მიიღებენ: სახელმწიფო თეატრის, ხამუსიკო საზოგადოების და მსახიობთა კავშირის საუკეთესო ძალები.

რეჟისორი ალ. ᲛᲣᲨᲐᲜᲐᲕᲐ. გამგე საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. **აფიშები არ გამოვა.**

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

და მცირე კოლეკტივი მგ'ამე სამოლიცო უბნისა სოც.-დემ. მუშათა პარტიის მოთავსებული ეკოკვის ქ № 9 (პროფესიონალური სკოლა) ყოველ დღიური მორიგეობა დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს., იქვე შეიძლება პარტიის წევრებად ჩაწერა და იყიდება პარტიული ლიტერატურა.

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

მოუწოდებს ყველა მიაქალაქეთ მესამე სამოლიცო უბნისას მობრძანდენ საერთო კრებაზე, 8 იანვარს 1919 წ. (ახალ სტილზედ) საღამოს 6 საათზე სოც. დემ. პარტიის მცირე კოლექტივის ბინაზე (ეეკოვსკის ქ. № 9, პროფესიონალური სკოლა).

დღის წესრიგი: 1) არჩევნები თბილისის თვითმართველობაში, 2) მიმდინარე მომენტი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ორბელიანის აბანოს მოიჯარადრე აცხადებს რომ პირველ იანვრამდე აბანო დაკეტილი იქნება. გაიღება მხოლოდ ორ იანვარს დღის 12 საათზე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

თფილისის მცხოვრებელ რაჯა-ლეჩხუმ-სვანეთ თფილისის დამცველი რაზმის შტაბის სამმართველო ამყოფება მადათოვის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის ბოლოზე, მარტირუზოვის სახლის ეზოში № 5. სამმართველოდ ადგილი ამოვა მოელი დღე სადაც შეიძლება რაზმში წევრად ჩაწერა და შტაბთან მოლაპარაკება. (3—2)

ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲮᲐᲙᲝᲓᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲓᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ამით აცხადებს, რომ 1919 წლის 1 იანვრიდან იგი გამოსცემს კვირაში ერთხელ

ᲙᲐᲜᲝᲜᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲡ.

კრებული ოფიციალური გამოცემა და შიგ მოთავსებული იქნება ყველა კანონი, მთავრობის განკარგულებანი ზოგადის ხასიათისა და მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდებანი.

საქართველოს პარლამენტის მიერ ამა 1918 წლის 11 ოქტომბრის „კანონთა გამოქვეყნების“ კანონით, ყოველი კანონი ძალაში შედის შვიდის დღის შემდეგ „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულში“ გამოქვეყნებიდან.

წესდებანი სხვადასხვა სამრეწველო, სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულებებისა და ბანკებისა „კანონთა კრებულის“ მეორე ნაწილში ცალკე მორიგებითა და საფასურით.

წლის დამლევს კრებულს დავრთავთ ხანგრძლივი ვრცელი სარჩევი: ანბანზე დაწყობილი—საგნობრივი, ქრონოლოგიური და სისტემატიური.

„კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული“ ეღირება წლიურად მთავრობის დაწესებულებათა და მოხელეთათვის 30 მ., კერძო ხელის მომწერთათვის 40 მ. თფილისიდან ბოლო პროვინციაში გაგზავნილი 50 მ.

თითო ნომერი კრებულისა ცალკე იქნება შეფასებული.

ამა 1918 წლის 26 მაისიდან 1919 წლის 1-ლ იანვრამდე გამოცემული კანონები უკვე იბეჭდება და სარჩევით ცალკე წიგნად იქნება გამოცემული.

ხელის მოწერა მიიღება იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილებაში, რომლის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს ფული საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდანაც.

მისამართი: იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება თფილისში, სასამართლო დაწესებულებათა შენობაში. (3—2)

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

სამსახურის შესახებ **ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲠᲘᲡ ᲑᲘᲜᲐ** იმყოფება სასახლის ქუჩაზე ყოფილი სასტუმრო „ურმიტე“-ში. ზედამხედველი ბინის უფროსი ადიუტანტი გარნიზონის სამართველოსი პოლუჩიკი ი. ნიკოლაძე. (2—2)